პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოის ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КОМПАРТИИ ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 124 (9592) | ხუთშაბათი, 28 მაისი, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დღეს ნომერში:

გააუმჯობესოთ პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობა — „პრავდის“ 17/V მოწინავე (1-ლი გვერდი).
საბჭოთა საქართველოს დღე (1-ლი გვერდი).
სადღეისო თემაზე. — თეატრი და მაყურებელი (მე-2 გვერდი).
პარტიული ცხოვრება. გ. მეფისაშვილი. — როგორ დაიწყეს მზადება შემაჯამებელი მეცადინეობისათვის (მე-2 გვერდი).
ეკონომიურ თემაზე. ი. აბესაძე. — ვეძიოთ, გამოვნახოთ, გამოვიყენოთ ფარული რეზერვები (მე-2 გვერდი).
სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობა (მე-2 გვერდი).
მოწინავეთა ტრიბუნა. ... თბილისის ბოსტნეული მთელი წლის განმავლობაში (მე-3 გვერდი).
საერთაშორისო თემაზე. გ. ზარდალიშვილი. — გვატემალა (მე-3 გვერდი).
ვ. გოგიბედაშვილი. — საქართველოს კურორტები (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-3 და მე-4 გვერდი).
სპორტის ამბები (მე-4 გვერდი).

## გააუმჯობესოთ პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობა

ჩვენს ქვეყანაში სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამოცანათა გადაჭრაში დიდ როლს ასრულებენ საბჭოთა პროფკავშირები — მუშათა და მოსამსახურეთა ყველაზე მასობრივი ორგანიზაცია, კომუნიზმის სკოლა.

ახლა, როცა საბჭოთა ხალხი მთელ თავის ძალებსა და შემოქმედებით ენერგიას რაზმავს სსრ კავშირში კომუნიზმის ასაშენებლად, კიდევ უფრო იზრდება მოთხოვნები ყველა ჩვენი საზოგადოებრივი ორგანიზაციებისადმი, მათ შორის პროფესიული კავშირებისადმიც. პარტიის XIX ყრილობაზე აღინიშნა, რომ საჭიროა ვაუმჯობესებდეთ და სრულვყოფდეთ პროფკავშირთა მუშაობას. მათი საქმიანობა უნდა ექვემდებარებოდეს იმისათვის ბრძოლას, რომ განხორციელდეს პარტიისა და მთავრობის მიერ შემუშავებული პოლიტიკა, რომლის მიზანია ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცება და ხალხის კეთილდღეობის განუწყვეტელი აღმავლობა.

ჩვენი პროფკავშირების საქმიანობის არე ფართო და მრავალმხრივია. მათ დიდი გამოცდილება შეიძინეს პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის მშრომელთა დარაზმვის, მუშა-მოსამსახურეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების, მასებში აღმზრდელობითი მუშაობის საქმეში. სამინისტროების გამსხვილებასთან დაკავშირებით მთელი რიგი პროფკავშირების გაერთიანებას, რაც უკანასკნელ ხანს გატარდა, მიზნად აქვს აამაღლოს პროფკავშირული ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობის დონე, გაამარტივოს და გააიაფოს პროფკავშირული აპარატი, გააუმჯობესოს მუშა-მოსამსახურეთა მომსახურება.

ამავე დროს მთელი სიმტკიცით უნდა ითქვას, რომ პროფკავშირული ორგანიზაციების საქმიანობა ჯერ კიდევ ვერ შეესაბამება მათთვის წარდგენილ მოთხოვნებს. ბევრი პროფკავშირული ორგანიზაცია ცუდად ეწევა მასობრივ-საწარმოო მუშაობას, ჯერ კიდევ ფორმალურად ეკიდება სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღებას, სუსტად სწავლობს და ნერგავს წარმოებაში მოწინავე გამოცდილებას.

საბჭოთა პროფკავშირების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ის, რომ ყველა ღონისძიებით განავითარონ და წარმართონ მშრომელთა პატრიოტული აღფრთოვანება და შემოქმედებითი ინიციატივა მეხუთე ხუთწლიანი გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისაკენ, მიაღწიონ შრომის ნაყოფიერების განუწყვეტელ ზრდას, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას და თვითღირებულების შემცირებას, მომჭირნეობის რეჟიმის განუხრელად გატარებას, წარმოების რეზერვების ფართოდ გამოყენებას. პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა უფრო ფართოდ უნდა გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება ჩვენი მშენებლობის ყველა უბანზე, გაავრცელონ მოწინავე გამოცდილება მშრომელთა მთელ მასაში, რათა ხელი შეუწყონ ჩამორჩენილებს მოწინავეთა დონის მიღწევაში.

საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობისათვის ზრუნვა უმაღლესი კანონია ჩვენი პარტიისა და მთავრობისათვის. ეს განსაზღვრავს საბჭოთა პროფკავშირების საქმიანობის არსსაც. ისინი მოვალენი არიან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მუშა-მოსამსახურეთა მზარდი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. სამწუხაროდ, ბევრი პროფკავშირული ორგანიზაცია ჯეროვან მზრუნველობას არ იჩენს მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურებისათვის, რაც აღარ შეიძლება შეწყნარებულ იქნას. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ პროფკავშირები უფრო მეტ მოთხოვნებს უყენებდნენ სამეურნეო ორგანიზაციებს საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის გეგმების შესრულებისათვის, უზრუნველყოფდნენ კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებების, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოების მუშაობისადმი ქმედითს საზოგადოებრივ კონტროლს. ამჟამად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მშრომელთა საზაფხულო დასვენების სწორ ორგანიზაციას.

ჩვენი პროფკავშირების საპატიო ამოცანაა ყოველდღიურად ეხმარებოდნენ პარტიას მშრომელთა აღზრდაში საბჭოთა პატრიოტიზმისა და ხალხთა მეგობრობის სულისკვეთებით, სახელმწიფოს ინტერესებისათვის ზრუნვის, შრომისა და სოციალისტური საკუთრებისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით. საჭიროა ამაღლდეს პროფკავშირული ორგანიზაციების როლი საწარმო-დაწესებულებებში შრომის დისციპლინის განმტკიცებაში, მოდუნებულობისა და დაუდევრობის, უთაურობისა და უყაირათობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ პროფკავშირული მუშაობის დიდი ნაკლოვანებანი აიხსნება უწინარეს ყოვლისა იმით, რომ ბევრი პროფკავშირული ორგანიზაცია ჯეროვან ხელმძღვანელობას არ უწევს ამ მუშაობას. ჩვენში ჯერ კიდევ ბევრია პროფკავშირთა ცენტრალური, რესპუბლიკური, სამხარეო, საოლქო კომიტეტები და საბჭოები, რომლებიც სუსტად იცნობენ ცხოვრებას და არ სწავლობენ მას, ცუდად არიან დაკავშირებულნი ადგილობრივ პროფკავშირულ ორგანიზაციებთან. ხშირად პროფკავშირული ორგანოები თავიანთი ადგილობრივი ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობას ახორციელებენ კანცელარიულ-ბიუროკრატიული მეთოდებით, გატაცებული არიან მიწერ-მოწერითა და სხდომო ფუსფუსით, არ ამოწმებენ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებას.

სერიოზული ნაკლოვანებებია ნავთობის მრეწველობის მუშათა პროფკავშირის მუშაობაში. ამ პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი ზერელედ ხელმძღვანელობს პროფკავშირულ ორგანიზაციებს, მხედველობიდან უშვებს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიც არის შრომის დისციპლინის განმტკიცება, მუშათა საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება, სარეწებზე და საწარმოებში შრომის დაცვა. პრეზიდიუმი ბევრ გადაწყვეტილებას იღებს, მაგრამ არ განამტკიცებს მათ საჭირო ორგანიზაციული ღონისძიებებით. პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის მუშაკები ადგილებზე წასვლისას არ იღებენ კონკრეტულ ღონისძიებებს არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

დაბალ დონეზეა პროფკავშირული მუშაობა ქალაქ გორკის ბევრ საწარმოსა და დაწესებულებაში. მთელ რიგ შემთხვევებში საქარხნო, საფაბრიკო და მშენებლობათა კომიტეტები აქ ფორმალურად ეკიდებიან სოციალისტური შეჯიბრების მოწყობას, არადამაკმაყოფილებლად ეწევიან მოწინავე გამოცდილების განზოგადებასა და გავრცელებას, სუსტად ზრუნავენ მშრომელების კულტურულ-საყოფაცხოვრებო საჭიროებათა დაკმაყოფილებისათვის. ყოველივე ამაში უწინარეს ყოვლისა ბრალი მიუძღვის პროფკავშირთა საოლქო საბჭოს, რომელიც მუშაობაში საჭირო ინიციატივასა და სიმტკიცეს ვერ იჩენს. ასეთივე ნაკლოვანებებია პროფკავშირთა ჩელიაბინსკის, ყარაგანდისა და მთელი რიგი სხვა საოლქო საბჭოების საქმიანობაში.

პროფკავშირული მუშაობა ცოცხალი, შემოქმედებითი საქმეა. იგი შეუთავსებელია კაზიონურობასთან და გულგრილობასთან, წარმოების ინტერესებისადმი, მშრომელთა მოთხოვნილებებისადმი ფორმალურ დამოკიდებულებასთან. პროფკავშირული ორგანიზაციების წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით შესრულება უაღრესად არის დამოკიდებული პროფკავშირული მასების აქტივობისა და თვითმოქმედების ყოველმხრივ განვითარებაზე. ეს იმას ნიშნავს, რომ პროფკავშირული ორგანიზაციები და მათი ხელმძღვანელი ორგანოები მთელ თავიანთ საქმიანობაში უნდა ეყრდნობოდნენ მშრომელთა ფართო მასებს, განამტკიცებდნენ და აძლიერებდნენ მათთან კავშირს. საჭიროა ავამაღლოთ როლი მუშა-მოსამსახურეთა კრებებისა და საწარმოო თათბირებისა, რომლებიც წარმოადგენენ მშრომელთა აღზრდის, პარტიისა და მთავრობის დირექტივების შესასრულებლად მათი მობილიზაციის ქმედითს საშუალებას.

განვავითაროთ პროფკავშირული მასების აქტივობა და თვითმოქმედება — ეს ნიშნავს გულისხმიერად დავუგდოთ ყური მუშა-მოსამსახურეთა წინადადებებს, ყოველი ღონისძიებით გავაჩაღოთ თვითკრიტიკა და განსაკუთრებით ქვემოდან კრიტიკა. გაბედულად და მტკიცედ გამოვააშკარაოთ და აღმოვფხვრათ ნაკლოვანებანი მუშაობაში. თვითეული პროფკავშირული ორგანიზაცია, თვითეული პროფკავშირული კომიტეტი უნდა იდგეს პროფკავშირების წევრთა უფლებების, მშრომელთა ინტერესების სადარაჯოზე.

პროფკავშირების მუშაობა ახალი ამოცანების დონეზე რომ ავიყვანოთ, ამისათვის საჭიროა ორგანიზაციულად განვამტკიცოთ პროფკავშირული ორგანიზაციები, განვავითაროთ პროფკავშირული დემოკრატია. პროფკავშირული ორგანოები განუხრელად უნდა აუმჯობესებდნენ პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობას, ამყარებდნენ მათთან ცოცხალ კავშირს, დროულად ეხმარებოდნენ მათ, ზრდიდნენ აქტივს. გადაჭრით უნდა აღმოვფხვრათ ცალკეულ პროფკავშირულ ხელმძღვანელთა ცდები — მთელი მუშაობა აწარმოონ ადამიანთა ვიწრო წრის, ხელფასიანი პროფკავშირული აპარატის ძალებით. პროფკავშირული ორგანოები მოწოდებული არიან მთელ თავიანთ საქმიანობაში ეყრდნობოდნენ იმას, რომ მუშაობაში მაქსიმალურად მოიზიდონ პროფკავშირული აქტივი.

პროფკავშირთა საქმიანობის გაუმჯობესება და სრულყოფა ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების ყოველდღიური მზრუნველობის საგანი უნდა იყოს. ჩვენში ჯერ კიდევ არის ფაქტები, როცა პარტიული კომიტეტები საჭირო ყურადღებას არ აქცევენ პროფკავშირულ მუშაობას. სწორედ ასეა საქმე ტულის ოლქში. პროფკავშირული ორგანიზაციების საქმიანობის განხილვა პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების ბიუროების სხდომებზე აქ ხდება შემთხვევიდან შემთხვევამდე, ფორმალურად, მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებას კი აღარ ამოწმებენ. ამ მხრივ მაგალითს არც პარტიის საოლქო კომიტეტი იძლევა. ოთხი წლის წინათ მან მიიღო გადაწყვეტილება ქვანახშირის მრეწველობის მუშათა პროფკავშირის საოლქო კომიტეტის მუშაობის შესახებ, მაგრამ შესრულებულია თუ არა ეს გადაწყვეტილება, რა შეიცვალა მას შემდეგ, — პარტიის საოლქო კომიტეტში აღარავის აინტერესებს. ასეთივე ბედი ეწია პარტიის საოლქო კომიტეტის მიერ სამი წლის წინათ მიღებულ გადაწყვეტილებას პროფკავშირთა საოლქო საბჭოს მუშაობის შესახებ. საოლქო კომიტეტის პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების განყოფილება ურიგდება ნაკლოვანებებს პროფკავშირულ მუშაობაში, არ ცდილობს ძირეულად გააუმჯობესოს ეს მუშაობა.

პარტიული ორგანიზაციები მოვალენი არიან უნარიანად წარმართონ პროფკავშირების მუშაობა, დაეხმარონ მათ, აღზარდონ ხელმძღვანელი პროფკავშირული კადრები, გააძლიერონ მათი პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისათვის. პარტიულ ორგანიზაციებს მოეთხოვებათ აამაღლონ პროფკავშირული ორგანიზაციების ავტორიტეტი, გააძლიერონ მათი როლი საწარმოთა და დაწესებულებათა ცხოვრებაში, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის გეგმების განხორციელებაში.

საბჭოთა პროფკავშირები უდიდეს ძალას წარმოადგენენ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობითა და წინამძღოლობით ისინი ღირსეულ წვლილს შეიტანენ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს შემდგომი აყვავებისა და მისი ძლიერების განმტკიცების საქმეში.

„პრავდის“ 17/V მოწინავე.

---

დღეს, საღამოს 8 საათზე **მოწვეულია თბილისის მშრომელთა დეპუტატების მე-4 მოწვევის საქალაქო საბჭოს მე-3 სესია.**

სესია გაიხსნება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში (რუსთაველის პრ. № 8).

დეპუტატების რეგისტრაცია იწარმოებს იქვე 7 საათიდან.

---

# საბჭოთა საქართველოს დღე

★

## წარმოების ნოვატორთა მიმოწერა

ჭიათურა. („კომუნისტის“ კორ.). სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის ხარატი ილია ჭუმბურიძე ლითონის ჩქაროსნული ჭრის ოსტატია. ლითონის ჩქაროსნული ჭრის თაოსნად ჭიათურაში გამოვიდა ივანე კაპანაძე, რომელიც ცენტრალურ მექანიკურ სახელოსნოში მუშაობს.

ამხ. ჭუმბურიძესა და კაპანაძეს შორის მესამე წელიწადია გრძელდება მეგობრული მიმოწერა ლითონის ჩქაროსნული ჭრის საკითხზე. კაპანაძე და ახალგაზრდა ხარატი კ. მეგრელიშვილი გასულ წელს წავიდნენ თბილისში, ინახულეს ი. ჭუმბურიძე და დაწვრილებით გაეცნენ მის გამოცდილებას.

მას შემდეგ წარმოების ნოვატორთა შორის კვლავ გრძელდება გულთბილი, მეგობრული მიმოწერა, ურთიერთისათვის გამოცდილების გაზიარება.

ამ დღეებში კაპანაძემ ახალი წერილი მიიღო ჭუმბურიძისაგან. იგი იწერება ცნობილი ნოვატორი ხარატის ამხ. კოლესოვის ახალი მეთოდით ლითონის ძალოსნური ჭრის შესახებ, ამ მეთოდის დანერგვის თაობაზე სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანაში და აღწერს ლითონის ძალოსნური ჭრის პროცესს და მის მნიშვნელობას.

## მიწისმწოვი მანქანები ახალმშენებლობებს

ფოთი. ჩვენი ქვეყნის ახალმშენებლობათათვის ფოთის მიწისმწოვი მანქანების ქარხანამ გაგზავნა „ახალი კოლხიდის“ მარკის 14 მიწისმწოვი მანქანა.

ამჟამად აქ ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება ახალი დაკვეთების ვადამდე შესრულებისათვის. უახლოეს დღეებში მშენებლობებზე გაიგზავნება მიწისმწოვი მანქანების ახალი პარტია.

რთულ სამუშაოებს წარმატებითართმევენ თავს საქვაბე, სამონტაჟო და ამწყობი საამქროების კოლექტივები. დიდი გადაჭარბებით ასრულებენ საწარმოო დავალებებს სტახანოველები ა. ზავოდნევი, ს. ნადტოჩი, გ. სანიკიძე, კ. მელია და სხვები.

## ყაზანლიყის ვარდის კრეფა

ცხაკაია. („კომუნისტის“ კორ.). ეთერზეთოვანი კულტურების ხორშის საბჭოთა მეურნეობაში საკრეფად შემოვიდა ყაზანლიყის ვარდი. 22 მაისს დაიწყო ვარდის ახალი მოსავლის აღება. რამდენიმე დღეში მოიკრიფა 500 კილოგრამამდე ნედლეული, რაც ჩაბარდა ზეთსახდელ ქარხანას.

საბჭოთა მეურნეობა წელს დაამზადებს ვარდის 20 ტონამდე ნედლეულს.

## რკინიგზელის დღისათვის

### დაწინაურებული ვაგონშემკეთებლები

თბილისის მესამე სავაგონო დეპოს მუშაკთა კოლექტივმა მასობრივად გააჩაღა ბრძოლა რკინიგზელის საკავშირო დღისათვის ახალი საწარმოო მიღწევების მოსაპოვებლად. ამ შეჯიბრების პირველმა ეტაპმა უკვე მოგვცა მნიშვნელოვანი ნაყოფი. დეპოს ახსნითი შეკეთების, ავტომატური მუხრუჭების და გოგორწყვილების საამქროთა კოლექტივებმა უკვე შეასრულეს მაისის საწარმოო დავალება.

რკინიგზელის დღის აღსანიშნავად ნაკისრ ვალდებულებებს წარმატებით ანაღდებენ ზეინკლები გ. გლურჯიძე, გ. ქიტუაშვილი და დ. ბეგლარაშვილი, ხარატები ს. ქსოვრელი და ბ. ტრეტიაკოვი, მექვაბეები კ. პილგუევი, ს. ბოგდანოვი და ხ. კაზაკევიჩი, მღებავი პ. ბედენაშვილი და მეურმე ლ. ვაშაგაშვილი.

### მეხუთე ხუთწლედის ვადამდე შესასრულებლად

ხაშური. („კომუნისტის“ კორ.). ხაშურელი მემანქანეები აჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას ახალი ხუთწლედის ვადამდე შესასრულებლად. ამ შეჯიბრების ინიციატორი, როგორც ცნობილია, ზლატოუსტის საელმავლო დეპოს უფროსი მემანქანე ამხ. კუპრიანოვია. ხაშურელებმა მას შეატყობინეს, რომ მხარს უჭერენ მის წამოწყებას და ერთსულოვნად ებმებიან შეჯიბრებაში.

დეპოს კომკავშირული ელექტრომავლის გუნდმა, რომელსაც უფროსი მემანქანე მ. ტყეშელაშვილი ხელმძღვანელობს, იკისრა მეხუთე ხუთწლედის შესრულება 1954 წლის 7 ნოემბრისათვის. კონკრეტულ სოციალისტურ ვალდებულებათა განაღდება იკისრეს და მეხუთე ხუთწლედის შესრულებისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაებნენ უფროსი მემანქანეების ი. ნემსაძის და ი. ლაბაძის ელექტრომავალთა გუნდები.

## ზუგდიდელთა საპასუხოდ

### ტემპი გაძლიერდა

წყალტუბოელი კოლმეურნეები ენერგიულად შეუდგნენ ჩაის კრეფას. ჩაის კრეფის დავალებებს დიდი გადამეტებით ანაღდებენ სოფელ ფარცხანაყანევის სტალინის სახელობისა და ჟდანოვის სახელობის, ქვილიშორის ბერიას სახელობის, მაღლაკის მალენკოვის სახელობისა და ბერიას სახელობის, გვიშტიბის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობები.

რაიონში ახლა ყოველდღიურად 30 ტონაზე მეტი ფოთოლი იკრიფება. კოლმეურნეები გაეცნენ ზუგდიდელ კოლმეურნეთა მოწოდებას და გადაწყვიტეს სამშობლოს გეგმის გადამეტებით მისცენ 100 ტონა ჩაი.

შ. ცანავა.

### წარჩინებული მკრეფავი

ჩაის კრეფის მოწინავე ოსტატია ცხაკაიას რაიონის სოფელ უშაფათის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი ქ. ბოლაშვილი, რომელმაც უკვე მოკრიფა და ჩაის ფაბრიკას ჩააბარა 660 კილოგრამი ხარისხოვანი ნედლეული. იგი ყოველდღიურად 75-80 კილოგრამ ჩაის კრეფს, დღიური ნორმა კი 30 კილოგრამს ითვალისწინებს.

ქ. ბოლაშვილი ჩაება სოციალისტურ შეჯიბრებაში და იკისრა მისთვის მოსავლელად მიჩენილ ნახევარ ჰექტარ ფართობზე სახელმწიფოს ჩააბაროს 8 ათასი კილოგრამი ჩაის ფოთოლი.

ს. კუჭავა.

## ბორჯომ-ლიკანის სანატორიუმში

ბორჯომი. („კომუნისტის“ კორ.). საკავშირო პროფსაბჭოს ბორჯომ-ლიკანის სანატორიუმი ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთი საუკეთესოა. აქ სეზონი წლის განმავლობაში არ იხურება და ერთდროულად 500 მოაგარაკე ისვენებს. სანატორიუმის მუშაკებმა ამ გაზაფხულზე ეზოს და ტერიტორიის კეთილმოწყობისათვის უფასოდ შეასრულეს 65 ათასი მანეთის სამუშაო.

სანატორიუმი უზრუნველყოფილია სამედიცინო კადრებით. დამსვენებელთა მკურნალობის საქმეს ემსახურება სტომატოლოგიური, ფიზიო-თერაპიული, სისხლის გადასხმის, გინეკოლოგიური კაბინეტები, კლინიკურ-დიაგნოსტიკური ლაბორატორია და აბაზანები. წელს სანატორიუმში მოეწყო მესამე რენტგენოლოგიური კაბინეტი. მკურნალობაში ფართოდ არის დანერგილი აკადემიკოს პავლოვის მეთოდი.

## თევზი ჩვენი ქვეყნის ქალაქებს

ბათუმის თევზის ქარხანა ყოველდღიურად გზავნის მოსკოვში, ვორონეჟში, თბილისში, პენზაში, ვლადიმირში და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებში ათობით ცენტნერ თევზს. ხამსა, ქამბალა და სტავრიდულა იგზავნება გაყინული, დამარილებული და შებოლილი.

წელს განსაკუთრებით ბევრი გაგზავნა ქარხანამ სტავრიდულა. მარტო თევზმჭერმა არტელმა „წითელმა მეთევზემ“ ქარხანას გადასამუშავებლად 1.400 ცენტნერი ეს თევზი ჩააბარა. ასეთი რაოდენობით თევზის დაჭერას ხელი შეუწყო წარჩინებული მეთევზის ი. სეიდიშვილის მიერ კონსტრუირებული სპეციალური კაპრონის ბადეების გამოყენებამ.

ჩვენი ქვეყნის მშრომელებს სულ გაეგზავნა 8.000 ცენტნერი თევზი. ახლა მეთევზეები ამთავრებენ მზადებას საზაფხულო თევზჭერისათვის.

გაზეთი „ბატუმსკი რაბოჩი“.

## ახალი ჩაის ფაბრიკა ბათუმში

ბათუმი. საექსპლოატაციოდ გადაცემულია ხელვაჩაურის ჩაის ფაბრიკა, სადაც მუშავდება რაიონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიერ ჩაბარებული პირველი 16 ათასი კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი.

ფაბრიკა აღჭურვილია უახლესი საბჭოთა მოწყობილობით. ფაბრიკის გამტარუნარიანობა ორნახევარ მილიონ კილოგრამ ჩაის მწვანე ფოთოლს უდრის.

ფაბრიკის ახლოს აშენებულია საცხოვრებელი სახლები, კლუბი, სასადილო. (საქინფორმი).





დამთავრდა ოფურჩხეთის ჩაის ახალი ფაბრიკის მშენებლობა და მონტაჟი. ფაბრიკა უკვე შეუდგა ახალი მოსავლის ჩაის მწვანე ფოთლის გადამუშავებას. ფაბრიკასთან გაშენებულია მუშათა კეთილმოწყობილი საცხოვრებელი უბანი. სურათზე: მთავარი საფაბრიკო კორპუსი; წრეში — საამქროს უფროსი ნ მანაგაძე იღებს ცნობებს ჩაის მწვანე ფოთლის მოზიდვის შესახებ. ქვემოთ — ფაბრიკის მუშათა და ინჟინერ-ტექნიკოსთა საცხოვრებელი უბანი.

ფოტო ი. საკუნისა.

---

## სიახლე სამსხმელო წარმოებაში

მომზადება და გადაზიდვა დიდძალი საყალიბე მიწისა, რომელსაც მნიშვნელოვანი რაოდენობით ხმარობენ სამსხმელო წარმოებაში, განსაკუთრებით შრომატევადი და დღემდე ნაკლებად მექანიზებული ოპერაციებია.

მოსკოვის ქარხანა „ბორეცის“ მუშებმა და სპეციალისტებმა საკავშირო პროფსაბჭოს შრომის დაცვის საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკებთან შემოქმედებითი თანამშრომლობით შექმნეს პროექტი მექანიზებული ხაზისა, რომლითაც ხდება საყალიბე მიწის გადატანა, გადამუშავება და მომზადება. 25 მაისს ქარხანაში დაიწყო ახალი მექანიზებული დანადგარის სამრეწველო გამოცდა.

...ქარხანა „ბორეცის“ სამსხმელო საამქრო. საამქროს შუაგულშია პნევმატიკური მიწოდების სპეციალური მკვებავები. დამწვარ საყალიბე მიწას, რომელიც უკვე იყო ხმარებაში, ყრიან ამ მკვებავებში. ჰაერის ძლიერ ნაკადს თან მიაქვს არა მარტო გაფხვიერებული მიწა, არამედ მსხვილი გორახებიც. მკვებავიდან მაღლა ადის 400 მილიმეტრი დიამეტრის მილსადენი. საცენტილაციო დანადგარის საშუალებით მიწა ამ მილსადენით მიდის მნიშვნელოვან მანძილზე სპეციალური აგრეგატის — ციკლონისაკენ. აქ მიწა იწმინდება მტვრის წვრილი ნაწილაკებისაგან.

ციკლონიდან საყალიბე მიწა მიდის ხრახნსარევში, სადაც ირევა, გადამუშავდება და ტენიანდება. ამის შემდეგ მიწა შედის ბუნკერში — 60 კუბური მეტრი მოცულობის რეზერვუარში.

საჭიროების მიხედვით საყალიბე მიწა ბუნკერიდან, სადაც იგი ინახება, მექანიკურად ადის მცირე ლენტურ ტრანსპორტიორზე, იქიდან დიდი ლენტური ტრანსპორტიორით შედის საყალიბე მანქანების ბუნკერებში.

საყალიბე მიწის მოსამზადებელი და გადასაზიდავი მექანიზებული ხაზი საშუალებას მოგვცემს ერთიორად გავადიდოთ სხმულის რაოდენობა, ბევრად აუმჯობესებს მათ ხარისხს, აადვილებს შრომას და მკვეთრად ამცირებს საამქროში ჰაერის გაბინძურებას. ხაზი მთლიანად გაკეთებულია ქარხნის ძალებით.

საყალიბე მიწის მექანიზებული მიწოდება და მომზადება ტექნიკური აზრის დიდი მიღწევაა, სამსხმელო წარმოების მექანიზაციაში წინ გადადგმული ნაბიჯია.

შემდგომში საყალიბე მიწის ასეთი მოსამზადებელი და გადასაზიდავი დანადგარები განზრახულია გაკეთდეს მთელ რიგ ქარხნებში, სადაც სამსხმელო საამქროებია. (საქინფორმი).

## კურორტ სტარაია რუსას 125 წელი შეუსრულდა

ნოვგოროდი, 26 მაისი. (საქინფორმი). 125 წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც დაარსდა კურორტი სტარაია რუსა. იგი მდებარეობს ილმენის ტბის სამხრეთით და განთქმულია მინერალური წყაროებითა და მლაშე ტბებით, რომელთა ფსკერზე სამკურნალო ტალახის დიდი მარაგია.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ კურორტი სტარაია რუსა ჩრდილოეთის მშრომელთა ჯანმრთელობის ნამდვილი კერა გახდა.

ომის წლებში ჰიტლერელმა დამპყრობებმა დაანგრიეს კურორტის ყველა შენობა, მოსპეს პარკი. ახლა კურორტი აღდგენილია. აქ მკურნალობენ მოსკოველები, ლენინგრადელები, იმიერპოლარეთის მეთევზეები, კარელიის ტყის მკაფავები, ვორკუტის მეშახტეები, ივანოვოს მქსოველები, კოლმეურნეები. შარშან ამ კურორტზე გაატარეს შვებულება საბჭოთა კავშირის სამოცი ოლქისა და მხარის მშრომელებმა.

## თბილისში ჩამოვიდნენ უცხოეთის დელეგაციები

თბილისში ჩამოვიდა გერმანელ პროგრესულ მწერალთა დელეგაცია, რომელიც საბჭოთა კავშირში მოიწვია სსრ კავშირის საბჭოთა მწერლების კავშირის უცხოეთის კომისიამ. დელეგაციას მეთაურობს გერმანელ მწერალთა კავშირის გენერალური მდივანი პოეტი კუბა (კურტ ბართელი).

სტუმრებს აეროდრომზე შეხვდნენ საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის თავმჯდომარე გ. ლეონიძე, უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე ვ. გოგუაძე, საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პასუხისმგებელი მდივანი ს. ჭილაია, პოეტი გ. აბაშიძე, დრამატურგი ი. მოსაშვილი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი პროფესორი ა. ბარამიძე, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი შ. ღამბაშიძე და სხვები.

დელეგაციის წევრები გაეცნენ თბილისის ღირსშესანიშნაობებს, იყვნენ უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებაში, სადაც მათ უჩვენეს დოკუმენტალური ფერადი ფილმი „საბჭოთა საქართველო“, დაათვალიერეს საქართველოს ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმი.

უცხოელი სტუმრები საქართველოში რამდენიმე დღეს დარჩებიან.

* * *

27 მაისს თბილისში ჩამოვიდა ჩეხოსლოვაკიის პროფკავშირული დელეგაცია ჩეხოსლოვაკიის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს მდივნის ვოიტეხ დაუბნერის მეთაურობით.

დელეგაციას აეროდრომზე შეხვდნენ საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. გიორგაძე, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ვ. ტრაპაიძე, დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანი თ. აბაშიძე, მსუბუქი და კვების მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის მდივანი ტ. სანაკოევა და სხვები.

ჩეხოსლოვაკიის პროფკავშირული მუშაკები გაეცნობიან საქართველოს მშრომელთა წარმატებებს სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში. (საქინფორმი).

### სადღეისო თემაზე

## თეატრი და მაყურებელი

[illegible] ქოთა ადამიანები თეატრალური ხელოვნების მუშაკებს. ისინი ვერ ურიგდებიან უიდეობას, უფერულობას, სიყალბეს და სურთ ჩვენი მჩქეფარე და მრავალფეროვანი ცხოვრება წარმოდგენილი იყოს სცენაზე საინტერესოდ, მიმზიდველად, სინამდვილის მართალი ასახვით. დიდებული ეპოქა დიდებულად უნდა აისახოს.

მაყურებელთა მოთხოვნები წარმოადგენს ძლიერ სტიმულს, რომელსაც ჩვენი ხელოვნება მიჰყავს ახალი მიღწევებისაკენ სტალინური ეპოქის შესაფერი მხატვრული ტილოების შესაქმნელად. ხელოვნების ოსტატები სამართლიანად შენიშნავენ, რომ ისინი არა მარტო ასწავლიან, არამედ კიდევაც სწავლობენ მაყურებლებისაგან. ყოველივე ეს მოითხოვს თეატრისა და მაყურებლის კიდევ უფრო მჭიდრო კონტაქტს. ამ დაახლოების ერთ-ერთ მძლავრ საშუალებას მაყურებელთა კონფერენციები წარმოადგენს. ასეთი ღონისძიების ჩატარება მთელ ჩვენს ქვეყანაში პოპულარული გახდა, მაგრამ საქართველოს თეატრების მუშაობაში იგი ჯერ კიდევ საკმაოდ არ არის დანერგილი. ამ მიმართულებით კარგი ნაბიჯი გადადგა ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრმა, რომელმაც ამას წინათ მოაწყო მაყურებელთა კონფერენცია. კონფერენციამ ერთხელ კიდევ დაგვანახვა, თუ რა აღელვებს და რა იზიდავს ჩვენს მაყურებელს და რამდენად კრიტიკულად უდგება ის თეატრის მიერ განხორციელებულ სპექტაკლებს.

მსახიობებსა და რეჟისორებს, მართალია, ყოველდღიურად, სპექტაკლის მიმდინარეობის დროს, საშუალება აქვთ გაეცნონ მაყურებლის რეაგირებას მათს ნამუშევარზე, მაგრამ ხანდახან მაყურებელთა დარბაზმა შეიძლება შეცდომაშიც შეიყვანოს ისინი. ტაში ყოველთვის მსახიობის თამაშს კი არ შეეხება, არამედ ზოგჯერ მათ მიერ წარმოთქმული მონოლოგისა თუ ფრაზის შინაარსს. მაყურებლის ნამდვილი, ჭეშმარიტი შეხედულება სპექტაკლზე ყალიბდება უფრო გვიან, თეატრიდან გამოსვლის შემდეგ, როდესაც იგი ღრმად უფიქრდება, გაიაზრებს ნახულ წარმოდგენას. ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს მაყურებელთა კონფერენციებს. შემოქმედი, რომელიც დაინტერესებულია თავისი ნამუშევრის კრიტიკით, მაყურებელთა შენიშვნებში ყოველთვის ნახავს საზრდოს შემდგომი მუშაობისათვის.

თეატრისა და მაყურებლის დაახლოების, თანამშრომლობის საშუალებას წარმოადგენს აგრეთვე სპექტაკლების განხილვა საწარმოებში, დაწესებულებებში, უმაღლეს სასწავლებლებში. ამ განხილვებმა დაგვანახვა, რომ ზოგჯერ ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკები კრიტიკას ავადმყოფურად განიცდიან განხილვების დროს ასეთი მუშაკების სიტყვებში უფრო წუწუნი ჟღერს, რომ ვითომდა მას ვერ გაუგეს, ვიდრე მისწრაფება კრიტიკული შენიშვნებისათვის ანალიზის გაკეთებისა და მათგან დასკვნის გამოტანისა.

ქართველი მაყურებელი სამართლიან საყვედურს გამოთქვამს, რომ ჩვენს სცენაზე ნაკლებად იდგმება ორიგინალური პიესები თანამედროვე თემებზე; თეატრები საკმაო რაოდენობით ვერ ახორციელებენ ახალ დადგმებს. თეატრების ხელმძღვანელები უნდა დაუფიქრდნენ ამ გარემოებას და სათანადო დასკვნა გამოიტანონ.

პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ვალია ხელი შეუწყონ თეატრებისა და ფართო მასების უფრო მეტ დაახლოებასა და თანამშრომლობას.

## მოძმე რესპუბლიკებში

რესპუბლიკური გაზეთებიდან

### მწყემსი ქალის ლექცია

„კაზახსტანსკაია პრავდა" მოგვითხრობს ლექციაზე, რომელიც წაიკითხა მეცხვარეებთან ყაზახეთის სსრ ჯამბულის ოლქის ყიზილ-ყუმის რაიონის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობა „ჩიმყურგანის" უფროსმა მწყემსმა, ყაზახეთის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ბოლსინაი ღაულბაევამ.

წარჩინებულმა მწყემსმა გაუზიარა სხვებს თავისი მდიდარი გამოცდილება, რომლითაც მან მეცხვარეობის განვითარებაში შესანიშნავ შედეგებს მიაღწია. მეცხვარეებმა გადაწყვიტეს გამოიყენონ ეს გამოცდილება ცხვრის სულადობისა და პროდუქტიულობის გადიდებისათვის.

### მოძმე საწარმოების ურთიერთდახმარება

ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში გზავნის თავის პროდუქციას რიგის ტურბმექანიკური ქარხანა. მაისში ყაზანში, სარატოვში და სხვა ქალაქებში გაიგზავნა კომპრესორები. ამ დღეებში საქართველოს გაეგზავნა ორი ქანამწმენდი მანქანა.

როგორც გაზეთი „სოვეტსკაია ლატვია" მოგვითხრობს, სამაგიეროდ ტურბმექანიკური ქარხანაც იღებს მოწყობილობას მოძმე რესპუბლიკებიდან. ამას წინათ ქარხანამ თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნისაგან მიიღო ახალი სახარატო-ხრახნმჭრელი ჩარხი. სხვადასხვა ახალი ჩარხები ქარხანამ მიიღო აგრეთვე კიევიდან და ვოროშილოვგრადიდან.

### ყაყაჩოს პლანტაციებზე

გაზეთი „სოვეტსკაია კირგიზია" წერს, რომ ყირგიზეთის სსრ ისიკ-კულის ოლქის მინდვრებში, სადაც დათესილია სამკურნალო ყაყაჩო, გაჩაღებულია ნათესების დამუშავება. ყაყაჩო უკვე ამოსულია. წინათ ამ ნათესების დამუშავება ხელით წარმოებდა, რასაც დიდი დრო უნდებოდა. ახლა სამკურნალო მცენარეთა პრჟევალსკის ზონალური საცდელი სადგურის დახმარებით კოლმეურნეობები წარმატებით იყენებენ მექანიზაციას.

### კოლექტიური ბაღები

ხარკოვის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა ქალაქის საწარმოებს გამოუყო 1.000 ჰექტარი მიწა მშრომელთა კოლექტიური ბაღებისათვის.

გაზეთი „პრავდა უკრაინი" წერს, რომ ტურბგენერატორული ქარხნის მუშები, ინჟინრები, ტექნიკოსები და მოსამსახურეები აშენებენ ხეხილის ბაღს 100 ჰექტარზე. ამ გაზაფხულზე მათ 3 ათასზე მეტი ძირი ხეხილი დარგეს. დანარჩენს დარგავენ შემოდგომაზე.

ქარხანა „ელექტროსტანოკის" მუშა-მოსამსახურეებმა გაზაფხულზე დარგეს 800 ვაშლის, 300-მდე მსხლის, 275 ქლიავის ხე, ბევრი ჟოლოსა და ალუბლის ნერგი. რიგთა შორის მწკრივებში დათესეს ბოსტნეული.

ხარკოვის სატრაქტორო ქარხნის მუშაკები თავიანთ კოლექტიურ ბაღში რგავენ ვაშლს, მსხალს და ვაზსაც კი.

### პარტიული ცხოვრება

## როგორ დაიწყეს მზადება შემაჯამებელი მეცადინეობისათვის

— სხვადასხვა ტიპის თეორიულ წრესა და პოლიტსკოლებში, აგრეთვე პოლიტიკური ეკონომიის შემსწავლელ სემინარში გაერთიანებულია 299 კომუნისტი და ასამდე უპარტიო სპეციალისტი. წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავეთათვის გამოყოფილია 8 კონსულტანტი. ჩვენთან სასწავლო წელი პარტიული განათლების სისტემაში ივნისის დამლევს მთავრდება. მიუხედავად ამისა, ჩვენ აქედანვე შევუდექით მზადებას შემაჯამებელი მეცადინეობისა და ჯგუფური თეორიული გასაუბრებებისათვის, — განაცხადა ქუთაისის აბრეშუმკომბინატის პარტბიუროს მდივანმა კ. მარუაშვილმა.

აბრეშუმკომბინატის პარტიული ორგანიზაცია, რომელიც ერთ-ერთი მსხვილი ორგანიზაციაა ქალაქში, ენერგიულად შეუდგა მზადებას იმისათვის, რომ წარმატებით შეაჯამოს კომუნისტთა პოლიტიკური სწავლის შედეგები, უკეთ მოაწყოს მეცადინეობა მომავალ წელს. ამ დღეებში პარტბიურომ მოიწვია პროპაგანდისტთა და კონსულტანტთა თათბირი, თათბირის მონაწილეებმა განიხილეს და მოიწონეს შემაჯამებელი მეცადინეობისა და ჯგუფურ თეორიულ გასაუბრებათა ჩატარების კალენდარული გეგმა. თათბირმა შეიმუშავა ღონისძიებანი სასწავლო წლის ორგანიზებულად დამთავრებისათვის.

პარტბიურომ მოაწყო თვითეული წრისა და პოლიტსკოლის მუშაობის შემოწმება და ამის მიხედვით განსაზღვრა შემაჯამებელი მეცადინეობის ვადები.

ამჟამად როგორც წრეებსა და პოლიტსკოლებში გაერთიანებული კომუნისტები, ისე წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგები ამთავრებენ პროგრამით გათვალისწინებული თემების შესწავლას. სუსტი მსმენელებისათვის ეწყობა დამატებითი საუბრები და კონსულტაციები. სასწავლო წლის წარმატებით დასამთავრებლად ენერგიულად მეცადინეობენ პარტიის ისტორიის შემსწავლელ მაღალი ტიპის წრეში, სადაც პროპაგანდისტია კომუნისტი ქ. მელუა. აქ კომუნისტები შ. ცინცაძე, ჟ. ყანჩაველი, ზ. გოცირიძე, რ. ფანცხავა, უპარტიოები ვ. ობოლაძე, ე. კეკელია, ს. მარიშვილი საფუძვლიანად სწავლობენ მარქსიზმ-ლენინიზმს, გულმოდგინედ ემზადებიან შემაჯამებელი მეცადინეობისათვის.

პარტიის ისტორიის შემსწავლელი ძირითადი ტიპის იმ წრეში, რომელსაც კომბინატის მთავარი ინჟინერი ნ. შამათავა ხელმძღვანელობს, 23 კაცია გაერთიანებული. განსაკუთრებულ მომზადებას იჩენენ პ. მერმანიშვილი, მ. ჩარკვიანი, შ. უგულავა და სხვები.

წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგები ახლა უფრო ხშირად ხვდებიან თავიანთ კონსულტანტებს. კონსულტანტი გ. სეფიაშვილი კარგ დახმარებას უწევს მასთან მიმაგრებულ კომუნისტებს ჯგუფური თეორიული გასაუბრებისათვის მოსამზადებლად.

მაგრამ ზოგი პროპაგანდისტი და კონსულტანტი დაკისრებულ საქმეში უპასუხისმგებლობას იჩენს. ლენინის და სტალინის ბიოგრაფიების შემსწავლელ წრეში, რომლის პროპაგანდისტია ქ. რევიშვილი, ამ ცოტა ხნის მანძილზე სამჯერ გადაიდო მეცადინეობა. 18 მსმენელიდან მეცადინეობას სისტემატურად არ ესწრება 7-8 მსმენელი. ცუდად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას კონსულტანტები ვ. კანჭოშვილი და ვ. ქუდაძე. ისინი იშვიათად აწყობენ გასაუბრებას მათთან მიმაგრებულ კომუნისტებთან, არ ემზადებიან სასწავლო წლის ორგანიზებულად დამთავრებისათვის.

პარტბიუროს მუშაობის სერიოზულ ნაკლს წარმოადგენს ის, რომ წელს პარტიულ სწავლებაში ჩაბმული არ იყო 18 კომუნისტი. ზოგიერთი კომუნისტი დაუდევრად ეკიდება თავისი შეგნებულობის ამაღლების საქმეს. მაგალითად, ლ. ჟორჟოლიანს, ა. შვანგირაძეს, ე. შათირიშვილს 15-ზე მეტი მეცადინეობა აქვთ გაცდენილი და, როგორც მოსალოდნელი იყო, ძალიან სუსტად ერკვევიან ცალკეულ საკითხებში.

კომბინატის პარტბიურომ სათანადო ზომები უნდა მიიღოს ამ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად და პარტიული განათლების სისტემაში სასწავლო წლის ორგანიზებულად დასამთავრებლად.

**გ. მეფისაშვილი,**
„კომუნისტის" კორესპონდენტი.

## ჩაის ფოთლის კრეფა

უკანასკნელ დღეებში ჩაის ფოთლის კრეფა გაძლიერდა. ფოთოლი მასობრივად არის შემოსული. საქართველოს ჩაის ტრესტის ცნობებით, 25 მაისისათვის რესპუბლიკაში ჩაის კრეფის მაისის გეგმა შესრულებული იყო 47,6 პროცენტით. ცალკე რაიონებს შორის კრეფის მიმდინარეობა შემდეგ სურათს იძლევა: ბათუმის რაიონს მაისის გეგმა შესრულებული ჰქონდა 31,3 პროცენტით, ქობულეთის — 51,8, ქედის — 10, გალის — 45,7, ოჩამჩირის — 49,6, გულრიფშის — 63,5, სუხუმის — 59,5, გუდაუთის — 40,8, მახარაძის — 46,2, ჩოხატაურის — 76,2, ლანჩხუთის — 58,2, სამტრედიის — 70,9, წულუკიძის — 66,1, ქუთაისის — 55,2, წყალტუბოს — 62,8, ტყიბულის — 18,5, ცხაკაიას — 48,5, აბაშის — 49,8, გეგეჭკორის — 47,4, ზუგდიდის — 40,1, წალენჯიხის — 36,6, ჩხოროწყუს — 50,9, ხობის — 46,3, თერჯოლის — 96,3, ზესტაფონისას კი 103,8 პროცენტით.

## სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობა

[illegible] მფრინავმა დაარღვია საბჭოთა საზღვარი და გამოჩნდა უკრაინის სსრ ტერიტორიაზე. გამოირკვა, რომ აღნიშნული თვითმფრინავიდან ჩამოუშვეს პარაშუტისტები—უცხოეთის დაზვერვის აგენტები.

სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მიღებულ ღონისძიებათა შედეგად 27 აპრილს აღმოჩენილ და დაპატიმრებულ იქნა ორი პარაშუტისტი, რომლებმაც განაცხადეს, რომ მათ ჰქვიათ ვასილ ვასილის-ძე **ვასილჩენკო** და ლეონიდე ნიკოლოზის-ძე **მატკოვსკი**.

შეპყრობილი პარაშუტისტები გამოტყდნენ, რომ ისინი არიან დივერსანტები და სსრ კავშირში საზღვარგარეთიდან შემოგზავნილ იქნენ ამერიკის დაზვერვის მიერ — დივერსიული, ტერორისტული და ჯაშუშური დავალებებით. დივერსანტებმა განაცხადეს, რომ ამა წლის 25 აპრილს ღამით ისინი უკრაინის სსრ ტერიტორიაზე პარაშუტებით ჩამოუშვეს ამერიკის ოთხმოტორიანი თვითმფრინავიდან, რომელსაც გამოსაცნობი ნიშნები არ ჰქონია.

დაკითხვის მსვლელობაში დივერსანტები **ვასილჩენკო** და **მატკოვსკი** გამოტყდნენ, რომ ისინი ატარებენ მოგონილ გვარებს, რომლებიც მათ მიაკუთვნა ამერიკის დაზვერვამ, და რომ ნამდვილად ისინი არიან: „ვასილჩენკო"— **ლახნო** ალექსანდრე ვასილის-ძე, ჯაშუშური მეტსახელი „ალიკი", „მატკოვსკი" — **მაკოვი** ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე, ჯაშუშური მეტსახელი „ვიტი".

**ლახნომ და მაკოვმა** აჩვენეს, რომ მათთან ერთად იმავე თვითმფრინავიდან ჩამოუშვეს ორი სხვა დივერსანტი —ამერიკის დაზვერვის აგენტები, რომელთა მეტსახელებია **„ჯონი"** და **„დიკი"**.

სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მიღებული ღონისძიებებით დივერსანტები **„ჯონი"** და **„დიკი"** აგრეთვე აღმოჩენილ და შეპყრობილ იქნენ იმავე დღეს. **„ჯონი"** აღმოჩნდა სერგი იზოსიმეს-ძე **გორბუნოვი**, ხოლო **„დიკი"** — დიმიტრი ნიკოლოზის-ძე **რემიგა**.

შეპყრობის დროს პარაშუტისტებს აღმოაჩნდათ: სასროლი იარაღი, საწამლავი (ციანკალიუმი), ოთხი მოკლეტალღიანი რადიოსადგური ამერიკული წარმოებისა, რადიოშუქურები თვითმფრინავების მიერ მიზნის მისაგნებად, ფარულწერის საშუალებანი, ყალბი საბჭოთა დოკუმენტებს საკეთებელი სამარჯვები, საბჭოთა ვალუტის დიდი თანხები, უცხოეთის ოქროს მონეტები, კლიშეები ანტისაბჭოთა შინაარსის ფურცლების ტექსტით.

ამ პუნქტებში, სადაც დივერსანტები დაიშვნენ, აღმოჩნდა გაშლილი პარაშუტები.

დაპატიმრებული დივერსანტების საქმის გამოძიებით გამოირკვა, რომ ჯერ კიდევ დიდი სამამულო ომის წლებში **ლახნო, მაკოვი და გორბუნოვი** იყვნენ გერმანელ ფაშისტ ოკუპანტთა აქტიური ხელშემწყობნი, ფაშისტების ხელში ყრიდნენ იმ საბჭოთა ადამიანებს, ვინც პატრიოტულ მუშაობას ეწეოდა ფაშისტურ ზურგში. [illegible]ბულმა **ლახნომ** გასცა ხუთი საბჭოთა პატრიოტი, რომლებიც გესტაპოელებმა დახვრიტეს; დივერსანტ **მაკოვს**, რომელიც დამსჯელი ბატალიონის „შავი ზღვის" შემადგენლობაში იყო, არაერთხელ მიუღია მონაწილეობა მხეცობასა და ძალადობაში, რასაც გერმანელი ფაშისტი დამპყრობნი საბჭოთა პატრიოტების მიმართ სჩადიოდნენ.

ჰიტლერული გერმანიის დამარცხების შემდეგ **ლახნო, მაკოვი, გორბუნოვი** და **რემიგა** გაიქცნენ დასავლეთ გერმანიაში, სადაც ადვილად იპოვნეს ახალი ბატონები და მფარველები ამერიკის მზვერავი ორგანოების სახით.

სამშობლოს მოღალატენი **ლახნო, მაკოვი, გორბუნოვი** და **რემიგა**, რომლებსაც უკვე ჰქონდათ საზიზღარი გამცემლური მუშაობის გამოცდილება, ჩარიცხეს ამერიკის დაზვერვის სამსახურში და გაგზავნეს ამერიკის დაზვერვის სპეციალურ ჯაშუშურ-დივერსიულ სკოლაში ბად ვისზეეში, მიუნხენის ახლოს, ბავარიაში.

გამცემლებმა **ლახნომ, მაკოვმა, გორბუნოვმა** და **რემიგამ** ამერიკის დაზვერვის ოფიცერთა ხელმძღვანელობით, რომელნიც ამ გამცემთა წინაშე გამოდიოდნენ მეტ სახელებით „ბილი", „ბობი", „კაპიტანი", „ვლადიმირი", გაიარეს საფუძვლიანი კურსი — შეისწავლეს, თუ რა მეთოდებით უნდა მოეწყოთ და განეხორციელებინათ ტერორის, დივერსიისა და ჯაშუშობის აქტები საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, შეისწავლეს სასროლი იარაღის ხმარება და აფეთქების საქმე. მათ აგრეთვე ასწავლიდნენ ჯაშუშური მიზნებისათვის გამოსაყენებლად განკუთვნილი სპეციალური კონსტრუქციის ამერიკული რადიოსადგურებით მუშაობას.

გამოძიების მსვლელობაში, კერძოდ, გამოირკვა, რომ ბად ვისზეეს ამერიკული დივერსიულ-ტერორისტული სკოლის ერთ-ერთი „მასწავლებელი", რომელიც დივერსიისა და ტერორის მეთოდებს ასწავლიდა დაპატიმრებულ პარაშუტისტებს, არის ამერიკის დაზვერვის კაპიტანი გოლედეი.

როგორც დივერსანტებმა **ლახნომ, მაკოვმა, გორბუნოვმა** და **რემიგამ** აჩვენეს, ამერიკის ჯაშუშურ-დივერსიული სკოლა ბად ვისზეეში ერთად-ერთი ასეთი „სასწავლებელი" როდია დასავლეთ გერმანიაში. ასეთი „სკოლები" არსებობს აგრეთვე მიუნხენში, მაინის ფრანკფურტში, კაუფბაირენსა და ბად ვერისჰოფენში. ყველა ამ „სკოლაში" ამერიკის დაზვერვა ფარულად ამზადებს ჯაშუშებს, დივერსანტებსა და კაცისმკვლელებს, რათა შემოგზავნოს ისინი საბჭოთა კავშირში და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში.

ერთ-ერთი ამ სკოლის ხელმძღვანელია კაუფბაირენში (ბავარია) „პეპირ ჯიმის" ფსევდონიმით მოქმედებს ამერიკის მზვერავი მაიორი რონალდ ოტო **ბოლინბახი**, რომელიც 1946-1947 წლების მანძილზე იყო მოსკოვში ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ატაშეს თანაშემწის თანამდებობაზე.

დივერსანტებმა **ლახნომ, მაკოვმა,** [illegible]პორტები, ყალბი სამხედრო ბილეთები, იარაღი, საწამლავი, რადიოსადგურები, შიფრები, კოდები და სხვა საჭურველი და ამა წლის 23 აპრილს ამერიკის დაზვერვის ზემოხსენებული თანამშრომლის კაპიტან **გოლედეის** თანხლებით ყველა ისინი ამერიკის სამხედრო თვითმფრინავით ჩაიყვანეს მიუნხენიდან საბერძნეთში ათენის აეროდრომზე.

ათენის აეროდრომზე დივერსანტებს შეხვდა ამერიკის დაზვერვის სამსახურის მაიორი ჰაროლდ ირვინგ **ფიდლერი**, რომელიც 1951 წელს სამჯერ ჩამოვიდა საბჭოთა კავშირში ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის დიპლომატიური კურიერის ნიღბით.

25 აპრილს საღამოს დივერსანტებს მისცეს პარაშუტები და **ფიდლერმა** ჩასხა ისინი ამერიკის ზემოაღნიშნულ ოთხმოტორიან თვითმფრინავში, რომელსაც გამოსაცნობი ნიშნები არ ჰქონდა. ამ თვითმფრინავმა მიიყვანა ისინი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ჩამოშვების ადგილას.

დაპატიმრებულმა დივერსანტებმა აჩვენეს, რომ ამერიკის დაზვერვამ მათ უბრძანა შემოპარულიყვნენ კიევსა და ოდესაში და პირველ რიგში რადაც უნდა დაჯდომოდათ, თუნდაც საბჭოთა ადამიანების დახოცვა დაჭირებოდათ, ეშოვნათ ნამდვილი საბჭოთა დოკუმენტები, რომლებითაც უნდა შეეცვალათ ამერიკის დაზვერვის მიერ მათთვის შეთითხნილი ყალბი საბუთები და მათი საშუალებით დამკვიდრებულიყვნენ დასახელებულ ქალაქებში, მათთვის გადაცემული რადიოსადგურებით დაემყარებინათ დაშიფრული კავშირი ამერიკის დაზვერვის რადიოცენტრთან დასავლეთ გერმანიაში, რათა მიეღოთ ამერიკის დაზვერვის შემდგომი მითითებანი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ტერორისა და დივერსიების აქტების პრაქტიკული განხორციელების შესახებ.

დივერსანტების **ა. ვ. ლახნოს, ა. ნ. მაკოვის, ს. ი. გორბუნოვისა** და **დ. ნ. რემიგას** საქმის გამოძიება სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაამთავრა და აღნიშნულ პირთა საქმე განსახილველად გადაეცა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიას.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ ამ დღეებში განიხილა ალექსანდრე ვასილის-ძე **ლახნოს**, ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე **მაკოვის**, სერგი იზოსიმეს-ძე **გორბუნოვისა** და დიმიტრი ნიკოლოზის-ძე **რემიგას** საქმე, მხედველობაში მიიღო საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ მათ მიერ ჩადენილ დანაშაულობათა სიმძიმე და „სამშობლოს მოღალატეების, ჯაშუშების, ძირგამომთხრელ-დივერსანტების მიმართ სიკვდილით დასჯის გამოყენების შესახებ" სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1950 წლის 12 იანვრის ბრძანებულების საფუძველზე შეუფარდა მათ უმაღლესი სასჯელი — დახვრეტა.

განაჩენი მოყვანილია სისრულეში.

### ეკონომიურ თემაზე

## ვეძიოთ, გამოვნახოთ, გამოვიყენოთ ფარული რეზერვები

პარტიის XIX ყრილობაზე აღინიშნა, რომ ჯერ კიდევ დიდია დანაკარგები და უნაყოფო ხარჯები მრეწველობაში, რომ განსაკუთრებით ცუდად ხორციელდება მომჭირნეობის რეჟიმი მშენებლობაში, ჯერ კიდევ ძალიან ძვირი ჯდება ახალ სამეურნეო და სამოქალაქო ნაგებობათა მშენებლობა.

ამ მხრივ გამონაკლისს არ წარმოადგენდა ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის ბეტონის ცენტრალური კომბინატიც. იგი საშენ მასალათა ერთ-ერთი დიდი საწარმოა რესპუბლიკაში, რკინაბეტონისა და ბეტონის ნაკეთობებით ამარაგებს ტრესტის სამშენებლო სამმართველოებს, თავის პროდუქციას უგზავნის სხვა დიდ მშენებლობებსაც საქართველოს ფარგლებს გარეთ.

გასული სამეურნეო წლის გეგმა კომბინატმა ვერ შეასრულა. გაუნაღდებელი დარჩა თვითღირებულების შემცირების დავალებაც და ამასთან 1.594 ათასი მანეთი გადაიხარჯა. ასეთმა შედეგებმა სერიოზული ამოცანების წინაშე დააყენა კომბინატის კოლექტივი.

პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებებით შეიარაღებულმა ჩვენმა კოლექტივმა ახლებურად გარდაქმნა მუშაობა და ახალი წლის პირველივე დღეებიდან მნიშვნელოვანი მიღწევები მოიპოვა როგორც შრომის ნაყოფიერების ამაღლების, ისე პროდუქციის თვითღირებულების შემცირების მხრივ. განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევდით ახალი რეზერვების გამონახვას, მშენებლობის ინდუსტრიული მეთოდების დანერგვას.

მიმდინარე წლის ოთხი თვის საწარმოო გეგმა განაღდებულია 104.6 პროცენტით. ამავე პერიოდის განმავლობაში დაზოგილია 511 ათასი მანეთის ეკონომია. ყოველივე ეს ძირითადად იმის შედეგია, რომ კომბინატის ხელმძღვანელობამ დასახა და განახორციელა მთელი რიგი ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებები შრომატევადი სამუშაოების მექანიზაციის, სამუშაო ადგილის კარგად მოწყობის, ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესებისა და შრომის სწორი ორგანიზაციის მისაღწევად.

რამდენიმე ძირითადი ღონისძიების განხორციელებამ სერიოზული გავლენა მოახდინა მთელი წარმოების გამართულ და ყაირათიან მუშაობაზე.

ცნობილია, რომ შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია მნიშვნელოვნად ზრდის შრომის ნაყოფიერებას, ამცირებს მუშახელზე მოთხოვნილებას. აი რამდენიმე მაგალითი: უკანასკნელ ხანებამდე საფენი კოჭებისა და რკინაბეტონის საამქროებში სხვადასხვა ადგილზე იყო გაფანტული შენაზავის ასარევი კვანძები. მათი მუშაობა არ იყო სათანადოდ მექანიზებული, საჭირო იყო დიდძალი მუშახელი. ახლა ეს კვანძები ერთ ადგილზეა კონცენტრირებული და ყველა სამუშაო მექანიზმებით სრულდება, 60 კაცი კი, რომლებიც ამ საქმეს ემსახურებოდნენ, განთავისუფლდა სხვა სამუშაო უბანზე გამოსაყენებლად. ეს იყო მეტად ეფექტიანი ღონისძიება, რომლის შედეგები ახლო მომავალში კიდევ უფრო საგრძნობი გახდება.

წიდის ბლოკების საამქროში დატვირთვა-გადმოტვირთვა ახლა კოშკურა ამწეს დახმარებით წარმოებს. ამ სამუშაოს ოცი კაცის ნაცვლად ახლა მხოლოდ რვა კაცი სჭირდება.

ბლოკების კონტეინერიზაციამ საგრძნობლად შეამცირა მეორე ხარისხის პროდუქციის გამოშვება, იგი გეგმით გათვალისწინებული 20 პროცენტიდან 12 პროცენტამდე დაიყვანა.

თანხების საგრძნობ ეკონომიას მივაღწიეთ წარმოების ნარჩენების გამოყენებით. კომბინატის ასფალტბეტონის ქარხანაში წლევანდლამდი ინერტული მასალის დიდი ფრაქციის ნარჩენები იყრებოდა. ახლა მას ვამუშავებთ და ვიღებთ ხრეშს. ამ გზით დაზოგილია რამდენიმე ასეული კუბმეტრი ხრეში.

კომბინატს არმატურისათვის დიდი რაოდენობით სჭირდება მავთული. აქამდე უქმად იკარგებოდა რუსთავში მოსულ ტვირთებზე შემოკრული მავთული. უკანასკნელ ხანებში შევუდექით მის შეგროვებას და გადამუშავებას. ტ. გარკავიკისა და ა. ცხვირავაშვილის წინადადებით ხელით გასწორების ნაცვლად ხლართებს სპეციალურად რეკონსტრუირებული ჯალამბარით ვასწორებთ. თუ რამდენად საგრძნობია ამ გზით მიღწეული ეკონომია, ამას ის ფაქტი მოწმობს, რომ მარტო მიმდინარე წლის განმავლობაში დაზოგილია 57 ათასი მანეთი.

დეფიციტური მასალების — გამფართოებელი ცემენტის, მაღალი გამძლეობის მავთულების — რაციონალური გამოყენებით მაღალდაძაბული მილების საამქროში ოთხი თვის მანძილზე ოთხმოცი ათასამდე მანეთი დაზოგეს.

ეკონომიის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს წუნის შემცირებისათვის ბრძოლა. რკინაბეტონის ნაწარმის ხარისხის ამაღლებითა და წუნის წინააღმდეგ გაჩაღებული ბრძოლით მივაღწიეთ იმას, რომ ნორმატივებით გათვალისწინებული წუნდებული ნაწარმი 4 პროცენტიდან 3 პროცენტამდეა შემცირებული.

ყველა ამ და კიდევ სხვა ღონისძიებათა განხორციელებამ საშუალება მოგვცა წარმატებით შეგვესრულებინა მიმდინარე წლის ოთხი თვის გეგმა, მიუხედავად იმისა, რომ იგი გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 13 პროცენტით გადიდდა, ხოლო მუშახელი ას კაცზე მეტით შემცირდა.

შარშანდელი პროდუქციის ფაქტიურ თვითღირებულებასთან შედარებით წელს გეგმით 9,3 პროცენტით უნდა შეგვემცირებინა თვითღირებულება, ნამდვილად კი ოთხ თვეში 11,6 პროცენტით შევამცირეთ.

პროდუქციის თვითღირებულების შემცირებაში გარკვეული წვლილი შეიტანეს კომბინატის მოწინავე ადამიანებმა, ნოვატორებმა. წელს შემოსული 20 რაციონალიზატორული წინადადებიდან 14 უკვე დაინერგა წარმოებაში და მნიშვნელოვან ეკონომიურ ეფექტსაც იძლევა.



რუსთავი. მოწინავე ჩქაროსანი მეფოლადეები (მარცხნიდან მარჯვნივ) გ. ბერეკაშვილი, ა. ფანცულაია და შ. შუბითიძე. ფოტო ვ. ზარიძისა.

კოჭების ცალულს ორი ნაწილისაგან ამზადებდნენ. საარმატურო საამქროს უფროსმა ა. ცხვირავაშვილმა წინადადება შემოიტანა ცალული ერთი ნაწილისაგან გაგვეკეთებინა. ამ ოპერაციაზე საწარმოო ციკლის შემცირება წარმოებას წელიწადში 8 ათას მანეთს უზოგავს.

განხორციელების პროცესშია ბლოკების საშრობი თაროს მეტად საყურადღებო ახალი კონსტრუქცია, რომლის ავტორები არიან კომბინატის მუშაკები ვ. რიბნოვი და გ. სუხარევი. მისი დანერგვით წარმოება ყოველწლიურად 35 ათას მანეთ ეკონომიას გასწევს.

შინარეზერვების გამოვლინებასა და თვითღირებულების შემცირებაში ზოგიერთი წარმატების მიუხედავად, ჩვენ კვლავ ბევრი გვაქვს გამოუვლინებელი რესურსები, რომელთა შესწავლა, წარმოებაში გამოყენება კიდევ უფრო გაზრდის შრომის ნაყოფიერებას და გაიაფებს ნაწარმს.

ჯერ კიდევ ვერ ავითვისეთ ბეტონის პლასტიფიკატორების გამოყენება. ამჟამად ვიწყებთ დანადგარის გამართვას პლასტიფიკატორების დასამზადებლად, რაც საგრძნობი რაოდენობით დაგვიზოგავს ცემენტს.

საარმატურო საამქროში საარმატურო შოლტების ხელით გადაბმიდან ჯერ კიდევ მთლიანად არ გადასულან ჩონჩხების შედუღებით გადაბმაზე და ა. შ.

პარტიის XIX ყრილობის დირექტივებში სსრ კავშირის მეხუთე ხუთწლედის შესახებ აღნიშნულია, რომ ხუთწლიანი გეგმის ამოცანების შესასრულებლად საჭიროა „განუხრელად ხორციელდებოდეს სამეურნეო მშენებლობის ყველა დიდ და მცირე უბანზე მომჭირნეობის რეჟიმი, დიდდებოდეს საწარმოთა რენტაბელობა. სამეურნეო მუშაკებმა უნდა ეძიონ, გამონახონ და გამოიყენონ ფარული რეზერვები"... კომბინატის კოლექტივი ყველა ზომას მიიღებს, რათა უზრუნველყოს პარტიის ამ მითითებიდან გამომდინარე, ჩვენს წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით გადაჭრა.

**ი. აბესაძე,**
ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის ბეტონის ცენტრალური კომბინატის დირექტორი.

მოწინავეთა ტრიბუნა

# მივაწოდოთ თბილისს ბოსტნეული მთელი წლის განმავლობაში

1929 წლიდან ორთაჭალის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი ვარ, ხოლო 12 წელია მებოსტნეობის რგოლს ვხელმძღვანელობ. თუ კოლმეურნეობამ უკანასკნელ წლებში სერიოზული მიღწევები მოიპოვა მებოსტნეობის განვითარებისა და საქართველოს დედაქალაქის ბოსტნეული პროდუქტებით მომარაგების საქმეში, ამაში ჩვენი რგოლის წევრებსაც მიუძღვით წვლილი. არ ყოფილა შემთხვევა, რომ უკანასკნელი 12 წლის მანძილზე როდისმე არ შეგვესრულებინოს ბოსტნეულ კულტურათა მოსავლიანობის გეგმა. მაგალითად, გასულ წელს 2,7 ჰექტარ ფართობზე გეგმით გათვალისწინებული 674,3 ცენტნერის ნაცვლად მივიღეთ 868,94 ცენტნერი ბოსტნეული, რითაც მოსავლიანობის გეგმა 128,8 პროცენტით გავანაღდეთ. ყველაზე მაღალი მაჩვენებელი მოვიპოვეთ პამიდორის მოსავლიანობის გადიდების საქმეში. გასულ წელს ჰექტარზე საშუალოდ მივიღეთ 276 ცენტნერი პამიდორი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 155 ცენტნერისა.



ლ. კაკაურიძე.

ხშირად გვეკითხებიან, თუ რა გზით ვაღწევთ წარმატებას, როგორ ვადიდებთ სისტემატურად ბოსტნეულ კულტურათა მოსავლიანობას. ჩვენს მუშაობაში მთავარი ის არის, რომ მუდმივ მზრუნველობას ვიჩენთ მებოსტნეობისადმი. ამ დარგით ერთნაირად არის დაინტერესებული ყოველი კოლმეურნე. განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ აგროტექნიკური წესების განხორციელებას, რგოლში შრომის მოწესრიგებასა და დისციპლინის განმტკიცებას.

ჩვენი მუშაობის პრაქტიკაში წარმატებით ვანხორციელებთ ერთსა და იმავე ნაკვეთზე ორი კულტურის ერთდროულად თესვას. ბოსტნეული კულტურების პროდუქციის გადიდების საშუალებას გვაძლევს აგრეთვე მოსავლიანობის ამაღლების დღემდე ნაკლებ-გამოყენებული ისეთი რეზერვი, როგორიც არის ამ კულტურათა განმეორებით დარგვა და თესვა პირველი მოსავლის აღების შემდეგ.

უხვი მოსავლისათვის ბრძოლას ჯერ კიდევ შემოდგომიდან ვიწყებთ, ვთესავთ მოკლე ვადებში მხოლოდ და მხოლოდ მაღალხარისხოვან, შეწამლულ თესლს. კვალსათბურებში თესვის წინ ვატარებთ მათი გვირგვინებისა და ჩარჩოების დეზინფექციას ფორმალინის ხსნარით.

საკუთარი საჭიროებისათვის სარგავი მასალა რგოლშივე გამოგვყავს. საადრეო პამიდორის ჩითილის მისაღებად საჭიროა 60-70 დღე. ამიტომ თესლს ვთესავთ კვალსათბურებში თებერვლის პირველ ნახევარში იმ ვარაუდით, რომ ჩითილი მზად იყოს აპრილის მეორე ნახევრისათვის.

ჩითილის გადარგვას ვამთავრებთ რაც შეიძლება მოკლე დროში, რომ იგი არ გადაიზარდოს, რადგანაც ასეთი ჩითილის გახარების პროცენტი დაბალია. ჩითილს ვრგავთ დილით ან საღამოთი, დიდი სიფრთხილით, ისე, რომ ფესვები არ დაუზიანდეს. გადარგვისთანავე მცენარეს ვრწყავთ; როცა იგი კარგად განვითარდება, ვუდგამთ ჭიგოს და ვაცლით ზედმეტ ყლორტებს.

ნიადაგის გაფხვიერებისა და სარეველა მცენარეების მოსპობისათვის ნათესებს სეზონში ოთხჯერ ვთოხნით, გაფხვიერება წარმოებს ნიადაგის ქერქის გაჩენისთანავე. სამჯერ მაინც ვახორციელებთ მინერალური და ორგანული სასუქებით ნათესების გამოკვებას. ნათესებს ვრწყავთ ყოველ 10 დღეში. დროულად ვახორციელებთ მცენარის დაავადებისა და მავნებელთა წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებსაც.

წელს ჩემმა რგოლმა მოსავლიანობის გადიდების 4 თვის დავალება 363 პროცენტით შეასრულა. ჩაბმული ვართ სოციალისტურ შეჯიბრებაში და ვიკისრეთ მთელი წლის განმავლობაში ნათესი ფართობის 2,7 ჰექტარზე მოვიყვანოთ 1.000 ცენტნერი ბოსტნეული.

ჩვენ ჯერ კიდევ სრულად ვერ ვიყენებთ მოსავლიანობის გადიდების ყველა რეზერვს, სუსტად არის დანერგილი მებოსტნეობაში მექანიზაცია. ყველა ზომას ვიხმართ, რათა მინიმუმამდე დავიყვანოთ სეზონურობა ბოსტნეულის წარმოების დარგში, უფრო გავადიდოთ მისი მოსავლიანობა, მივაწოდოთ თბილისს ბოსტნეული მთელი წლის განმავლობაში.

ლ. კაკაურიძე,

გარეუბნის რაიონის ორთაჭალის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის მებოსტნეობის რგოლის ხელმძღვანელი.

## წიგნის თარო

**დ. გამეზარდაშვილი** — ნარკვევები ქართული რეალიზმის ისტორიიდან. სახელგამი. რედაქტორი ს. ჭილაია. ტირაჟი 8.000 ცალი. 485 გვერდი. ფასი 12 მან. 90 კაპ.

**ა. სურგულაძე** — დიდი რუსი მხედართმთავრები. საბლიტგამი. რედაქტორი ი. ცინცაძე. ტირაჟი 10.000 ცალი. 250 გვერდი. ფასი 8 მან. 30 კაპ.

**დ. შენგელაია** — წითელი ყაყაჩო. სახელგამი. რედაქტორი კ. ბობოხიძე. ტირაჟი 8.000 ცალი. 219 გვერდი. ფასი 3 მან. 50 კაპ.

**ფ. ხალვაში** — ლექსები. საბჭოთა მწერალი. რედაქტორი ა. გომიაშვილი. ტირაჟი 7.000 ცალი. 92 გვერდი. ფასი 3 მან. 60 კაპ.

## ირაკლი გამრეკელის ხსოვნის აღსანიშნავად

ქართული საბჭოთა დეკორაციული ხელოვნების გამოჩენილი ოსტატის ი. გამრეკელის გარდაცვალების 10 წლისთავის აღსანიშნავად საქართველოს ხელოვნების მუშაკთა სახლში 26 მაისს სახლის გამგეობამ, საბჭოთა მხატვრების კავშირის თეატრალურ-დეკორაციულმა სექციამ და საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ დიდი საღამო მოაწყეს.

შესავალ სიტყვაში სსრ კავშირის სახალხო არტისტმა, სტალინური პრემიის ლაურეატმა ა. ვასაძემ აღნიშნა, რომ გამრეკელი იყო საქართველოში საბჭოთა დეკორაციული ხელოვნების ფუძემდებელი, მან დაამკვიდრა ქართულ სცენაზე მონუმენტური, ორიგინალური, ნამდვილი ეროვნული სტილი. მის მიერ შექმნილი დეკორაციული ნაგებობანი სცენაზე დღემდე ინარჩუნებენ ცხოველმყოფელ ძალას, მისგან ვითარდება და საზრდოობს ჩვენი ქართული საბჭოთა დეკორაციული ხელოვნება.

მოხსენება ირაკლი გამრეკელის შემოქმედების შესახებ წაიკითხა დოცენტმა დ. ჯანელიძემ. სიტყვებითა და მოგონებებით გამოვიდნენ მხატვრები: ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, სტალინური პრემიის ლაურეატი დ. თავაძე, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე კ. სანაძე, ა. თევზაძე, თ. თავაძე, რესპუბლიკის სახალხო არტისტი დ. ანთაძე და კრიტიკოსი ბ. ჟღენტი. ფოიეში მოეწყო გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იყო ესკიზები სპექტაკლებიდან „ოტელო“, „არსენა“, „დალატი“ და სხვ.

## სოფლის მოსახლეობის კინომომსახურება

მახარაძე. რაიონის კოლმეურნეებსა და მექანიზატორებს დიდ მომსახურებას უწევს მახარაძის კინოფიკაციის განყოფილება. წელს კინოქსელმა რაიონში აჩვენა 868 კინოსურათი, მათ შორის მაისში — 58.

სოფელ დვაბზუს, განახლების, მელექედურის, ბახვის, ძიმითის კოლმეურნეებმა დიდი ინტერესით ნახეს კინოსურათები „ბერლინის დაცემა“, „ცარიცინის დაცვა“, „გიორგი სააკაძე“, „თოფიანი კაცი“ და სხვ.

## ხალხური შემოქმედების თეატრის კონცერტები

ბათუმი. („კომუნისტის“ კორ.). მუშაობის გამოცდილების ურთიერთგაზიარების მიზნით ამას წინათ აჭარის ასსრ ხალხური შემოქმედების საოლქო სახლში გაიმართა ხალხური შემოქმედების თეატრის მორიგი კონცერტი. კონცერტში მონაწილეობა მიიღეს ბათუმის ორჯონიკიძის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის, საფერშლო სკოლისა და საქალაქო კულტურის სახლის მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივებმა.

თეატრს გათვალისწინებული აქვს უახლოეს დღეებში მოაწყოს თავის სცენაზე სტალინის სახელობის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის მუშათა კლუბთან არსებული დრამატული წრის გამოსვლა.

# საქართველოს კურორტები

**ვ. გოგიბედაშვილი,**

**მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, საქართველოს კურორტოლოგიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორი.**

საქართველოს სამართლიანად ეწოდება საბჭოთა კავშირის ჯანმრთელობის კერა. საქართველო მდიდარია კლიმატური, ბალნეოკლიმატური, მაღალი მთის, ბალნეოლოგიური და ზღვისპირა კურორტებით. რესპუბლიკის ტერიტორიაზე არის 1.000-ზე მეტი მინერალური წყარო, რომელთა წყლის ფიზიკურ-ქიმიური შემადგენლობა მეტად სხვადასხვანაირია, ზოგიერთი მათგანი კი, როგორც წყალტუბო, ლუგელა, ოქუმი, ცაიში უნიკალურია.

ლანდშაფტის სილამაზით საქართველოს კურორტებს ტოლი არ მოეპოვებათ.

ხუთწლედების მანძილზე დიდი მუშაობაა გაწეული კურორტების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და კეთილმოწყობისათვის. მარტო 1949-1951 წლებსა და 1952 წლის პირველნახევარში საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარმა საკურორტო სამმართველომ და საკავშირო პროფსაბჭოს კურორტების, სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების საქართველოს სამმართველომ, გარდა მთელი რიგი უწყებებისა, 107 მილიონი მანეთი დახარჯეს ამ მიზნისათვის.

გასული წლის დამლევს ამუშავდა მეშახტეთა დიდი სანატორიუმი წყალტუბოში, აქვე გაიხსნა საბავშვო სანატორიუმი. ახალი ჯანმრთელობის კერები შეემატა კურორტ გაგრასა და სხვ.

პარტია და მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ჩვენი რესპუბლიკის კურორტების შემდგომ განვითარებას. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარი საკურორტო სამმართველოს კურორტოლოგიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის კოლექტივი მთელ რიგ ღონისძიებებს ატარებს, რათა გამოავლინოს ახალი მინერალური და კლიმატური საკურორტო რესურსები, შეისწავლოს ადამიანის ორგანიზმზე კურორტის ფაქტორთა მოქმედების მექანიზმი, სანატორიუმების სამკურნალო პრაქტიკაში დანერგოს საბჭოთა სამედიცინო მეცნიერების უახლესი მიღწევები. ინსტიტუტმა უკვე დაამთავრა ბორჯომის, წყალტუბოს, მენჯის, საირმის, ზვარეს, სკურის, ახტალის და სხვა კურორტების ჰიდროგეოლოგიურ სამუშაოთა სამწლიანი გეგმის შედგენა. ეს გეგმა ითვალისწინებს ამ კურორტების რეკონსტრუქციასა და შემდგომ განვითარებას.

დიდი ყურადღება ექცევა ბორჯომის ჰიდრომინერალური რესურსების გადიდებას, რომლებიც განთქმულია შესანიშნავი ნახშირმჟავა-ჰიდროკარბონატნატრიუმიანი წყაროებით. ამ წყალს ხმარობენ კუჭ-ნაწლავის ტრაქტისა და გულისა და სისხლძარღვთა დაავადების სამკურნალოდ.

სამეცნიერო ძიებათა შედეგად აღმოჩენილ იქნა მთელი რიგი ახალი სამკურნალო წყაროები. ცნობილ ბალნეოკლიმატურ კურორტ ჯავაში, რომელიც ზღვის დონიდან 1.040 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს, ნაპოვნია ჯავაესენტუკის ტიპის სხვადასხვა მინერალიზაციის წყლის ახალი წყარო. ამ წყაროს წყალი შეიძლება წარმატებით გამოვიყენოთ სასმელად და აბაზანებისათვის.

კურორტ ზვარეში საძიებო-საკაპტაჟო სამუშაოთა შედეგად აღმოჩენილია ბორჯომის ტიპის მინერალური წყალი. დიდი პერსპექტივა აქვს აგრეთვე მაღალტემპერატურიან მინერალურ წყაროებს, რომლებიც აღმოჩნდა სოფელ ცაიშთან ზუგდიდის ახლოს და სოფელ ხორ ეაში (ხობის რაიონი). განზრახულია აქ აიგოს სანატორიუმები, სააბაზანო შენობა, პოლიკლინიკა.

მრავალი სამკურნალო მინერალური წყარო აღმოჩნდა და გამოკვლეულია აფხაზეთში. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია ქლორკალციუმიანი წყარო გალის რაიონის სოფელ ოქუმში.

ეფექტიანი შედეგებია მიღებული მახინჯაურის წყლების კირის გამოკვლევაში. მისი თბილი გოგირდოვან-ტუტიანი მინერალური წყაროების დებიტი ერთიექვსად და მეტად გადიდდა.

ინსტიტუტის კოლექტივმა პასუხსაგები მუშაობა შეასრულა ბორჯომის, წყალტუბოს, გაგრის, სურამის, დარიალისა და სხვა კურორტების სამთო-სანიტარული დაცვის პროექტების შესადგენად, რაც ხელს შეუწყობს რესპუბლიკის კურორტების შემდგომ განვითარებას.

მოწონებულია კურორტ წყალტუბოს განვითარების გენერალური გეგმა, რომელიც კურორტოლოგიის ინსტიტუტმა შეიმუშავა. როგორც ცნობილია, თავისებურებითა და სამკურნალო ეფექტით წყალტუბოს მინერალურ წყლებს მსოფლიოში ტოლი არ მოეპოვება. ამ სამკურნალო წყლის მეტად უხვი მარაგი, რასაც რევმატიზმის, მოძრაობის ორგანოების, პერიფერიული ნერვული სისტემის, გულის, სისხლძარღვებისა და სხვა დაავადებათა სამკურნალოდ ხმარობენ, შემდგომი ზრდის უდიდეს პერსპექტივებს უქმნის კურორტს. წყალტუბოში ფართოდ გაჩაღდა მშენებლობა. უმოკლეს ხანში აქ საექსპლოატაციოდ გადაეცემა მთელი რიგი ახალი ჯანმრთელობის კერები ორი ათასი საწოლით.

ინსტიტუტი სერიოზულ ყურადღებას აქცევს იმას, რომ საკურორტო საქმის პრაქტიკაში დაინერგოს დიდი რუსი ფიზიოლოგის ი. პ. პავლოვის მოძღვრებაზე დამყარებული მკურნალობის მეთოდები. პავლოვის მოძღვრების მიხედვით გადაისინჯა და შემუშავდა საკურორტო, სანატორიული და ინდივიდუალური რეჟიმების ნიმუშები. ბალნეოლოგიურ კურორტებზე ავადმყოფებისათვის პროცედურების მიღების შემდეგ დაწესებულია ძილი, რისთვისაც სააბაზანო შენობებთან გამოყოფილია სპეციალური ოთახები.

ჩვენი ინსტიტუტის მთელ კლინიკურ-ექსპერიმენტულ მუშაობას საფუძვლად უდევს ი. პ. პავლოვის მოძღვრება. ამ მხრივ ყურადღების ღირსია იმის გამოკვლევა, თუ როგორ მოქმედებს მინერალური წყლები დალევის შემდეგ.

საქართველოს კურორტების შემდგომი შესწავლისა და გამოყენების მიზნით მიმდინარე მუშაობა მშრომელთა ჯანმრთელობისათვის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყოველდღიური ზრუნვის ერთ-ერთი მკაფიო გამოვლინებაა.

## სსრ კავშირთან ურთიერთობის განმტკიცების რუმინეთის საზოგადოების საქმიანობა

ბუქარესტი, 25 მაისი. (საკდესი). საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის განმტკიცების რუმინეთის საზოგადოება დიდ მუშაობას ეწევა, რათა რუმინეთის მშრომელები გაეცნონ საბჭოთა კავშირის მიღწევებს კომუნიზმის მშენებლობაში, მის ბრძოლას მშვიდობის დასაცავად, საბჭოთა ადამიანების წარმატებებს მეცნიერების, ხელოვნებისა და ლიტერატურის დარგში. საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის განმტკიცების რუმინეთის საზოგადოება თავის რიგებში აერთიანებს დაახლოებით 6 მილიონ კაცს. 1952 წელს საზოგადოების ორგანიზაციებმა განახორციელეს 254 ათასზე მეტი სხვადასხვა ღონისძიება (ლექციები, მოხსენებები, საუბრები და სხვ.), რომლებშიც მონაწილეობა მიიღო 21,5 მილიონზე მეტმა კაცმა. მიმდინარე წლის პირველი კვარტალის განმავლობაში უკვე განხორციელებულია 72.887 ასეთი ღონისძიება. ამ ღონისძიებებში მონაწილეობდა დაახლოებით 6.320 ათასი კაცი.

რუმინელ მშრომელებს რომ შესაძლებლობა მისცემოდათ რაც შეიძლება უკეთ გასცნობოდნენ საბჭოთა კავშირის მიღწევებს მეცნიერების, ხელოვნებისა და ლიტერატურის დარგში, 1952 წლის მანძილზე გაიმართა საბჭოთა წიგნის დეკადა და უკრაინის სსრ დეკადა. ახლა წარმატებით მიმდინარეობს მოლდავეთის სსრ დეკადა. საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის განმტკიცების რუმინეთის საზოგადოების გამომცემლობა „კარტია რუსა“ რუმინულ ენასა და ეროვნულ უმცირესობათა ენებზე უშვებს რუსი კლასიკოსების, საბჭოთა მწერლების, მეცნიერების მოღვაწეებისა და წარმოების ნოვატორების სულ უფრო მეტ ნაწარმოებს. მიმდინარე წლის პირველი კვარტალის განმავლობაში გამომცემლობამ გამოუშვა 62 სახელწოდების წიგნები, რომელთა საერთო ტირაჟიც 457.526 ცალს უდრის. ჟურნალები „ვიაკ ნოვუ“ და „სსრ კავშირი დღეს“ (საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის განმტკიცების რუმინეთის საზოგადოების გენერალური საბჭოს ორგანოები) ფართოდ აშუქებენ საბჭოთა ადამიანების ცხოვრებას.

საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის განმტკიცების რუმინეთის საზოგადოების ორგანიზაციები დიდ ყურადღებას აქცევენ საბჭოთა სტახანოველების მუშაობის მეთოდების პოპულარიზაციას. საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის განმტკიცების რუმინეთის საზოგადოებამ მასობრივი ორგანიზაციების მხარდაჭერით შექმნა 10 ათასი რუსული ენის შემსწავლელი კურსები, სადაც 170.000 კაცი მეცადინეობს.

## უილიამ ფოსტერის „საქმის“ გამო

ნიუ-იორკი, 26 მაისი. (საკდესი). ფედერალურმა მოსამართლემ რაიანმა განკარგულება გასცა განუსაზღვრელი ვადით გადაიდოს ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარის უილიამ ფოსტერის პროცესი, რომელსაც ბრალდება აქვს წაყენებული სმიტის რეაქციული კანონის საფუძველზე.

როგორც მოსამართლის განცხადებიდან ჩანს, უილიამ ფოსტერის პროცესის შესახებ ამგვარი გადაწყვეტილება მიღებულია მისი ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით.

რაიანის გადაწყვეტილების შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფალნი კვლავ საწინდრით განთავისუფლებულად თვლიან ფოსტერს, მაგრამ, როგორც ასოშიეტედ პრესის სააგენტო აღნიშნავს, საეჭვოა, რომ ფოსტერის პროცესი ოდესმე განახლდეს.

## მდგომარეობა გრენლანდიაში

კოპენჰაგენი, 26 მაისი. (საკდესი). დანიის პრესა იუწყება, რომ ამა წლის ზაფხულში მთელი მკვიდრი მოსახლეობა დაბა ტულესი (გრენლანდია), სადაც ომისშემდგომ წლებში ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დიდი სამხედრო-საჰაერო ბაზა ააშენეს, გადასახლებულ იქნება ჩრდილოეთში ინგლფილდ-ბრედნინგის ყურისაკენ.

როგორც გაზეთი „ბერლინგსკე ტიდენდე“ იუწყება, წელს აშენდება რამდენიმე დროებითი ბარაკი, სადაც ჩაასახლებენ დაბა ტულეს მცხოვრებთ.

საერთაშორისო თემაზე

# გვატემალა

მიმდინარე წლის მარტსა და აპრილში გვატემალას ამბებმა მთელი მსოფლიოს ყურადღება მიიპყრო და პატარა გვატემალა „ცივი“ ომის მნიშვნელოვან კერად გადაიქცა მთელ ამერიკის კონტინენტზე. გვატემალას ამბები იმის მაჩვენებელია, თუ როგორ იზრდება ლათინური ამერიკის ხალხების უკმაყოფილება ამერიკის შეერთებული შტატების ექსპანსიური პოლიტიკის გამო.

გვატემალა ცენტრალური ამერიკის სახელმწიფოა *). მას დასავლეთით და ჩრდილოეთით ესაზღვრება მექსიკა, ჩრდილო-აღმოსავლეთით — ბრიტანეთის ჰონდურასი, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთით — ჰონდურასი და სალვადორი. მისი ფართობი 109,700 კვადრატულ კილომეტრს აღწევს, ხოლო მოსახლეობა 3,8 მილიონს. დედაქალაქია გვატემალა, სახელმწიფო ენა — ესპანური.

მოსახლეობის ორი მესამედი ინდიელებია, შემდეგ მეტისები, ხოლო ერთ პროცენტზე ნაკლებს შეადგენენ ესპანელები, რომლებსაც ხელთ აქვთ მთელი ძალაუფლება.

გვატემალა ჩამორჩენილი, დამოკიდებული, აგრარული ქვეყანაა. მის მეურნეობაში გაბატონებულია ამერიკის შეერთებული შტატების კაპიტალი (80 მილიონი დოლარი).

სოფლის მეურნეობაში წამყვანი კულტურებია ყავა, კაკაო და ბანანი, რომლებსაც საექსპორტო მნიშვნელობა აქვთ. დიდი მნიშვნელობა აქვს მდიდარი ტროპიკული ტყის მასივებს, მათ შორის კაუჩუკსა და ძვირფასი ჯიშის წითელ ხეს. ტყის მეურნეობაში საექსპორტო მნიშვნელობა აქვს ქინაქინის ხის ქერქის დამზადებასა და ჩიკლეს წარმოებას (საღეჭავი რეზინი). საინტერესოა აღინიშნოს, რომ ჩიკლეს ექსპორტით გვატემალა მექსიკის შემდეგ მეორე ადგილზეა მსოფლიოში.

მრეწველობა ჩანასახ მდგომარეობაშია და მხოლოდ წვრილი კუსტარული საწარმოებით არის წარმოდგენილი.

* * *

გვატემალას დღევანდელი ტერიტორია ესპანელებმა დაიპყრეს 1522-1524 წლებში და მას შემდეგ ესპანელების სამფლობელოს წარმოადგენდა. 1821 წელს გვატემალამ თავი დააღწია ესპანელთა ბატონობას და, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, ცენტრალური ამერიკის რესპუბლიკათა ფედერაციას შეუერთდა. პირველი მსოფლიო ომის წლებიდან გვატემალა ამერიკის შეერთებული შტატების გავლენაში მოექცა (კამპანია „იუნაიტედ ფრუტი“).

1944 წლამდე გვატემალა ამერიკის შეერთებული შტატების ექსპანსიური პოლიტიკის მიმდევარი იყო. გვატემალის პრეზიდენტი გენერალი უბიკო მჭიდროდ იყო დაკავშირებული ამერიკის მსხვილ მონოპოლისტებთან, განსაკუთრებით „იუნაიტედ ფრუტ კომპანისთან“, რომელსაც ცენტრალურ ამერიკაში „მწვანე ურჩხული“ დაარქვეს.

1944 წლის მარტში დიქტატორ უბიკოს ძალაუფლება დამხობილ იქნა და ახალ პრეზიდენტად აირჩიეს დოქტორი ხუან არევალო. პროგრესული წრეების მოთხოვნით ახალმა მთავრობამ დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა საბჭოთა კავშირთან და გაატარა მთელი რიგი დემოკრატიული გარდაქმნები. რაც მთავარია, ახალი მთავრობა




შეეცადა მინიმუმამდე დაეყვანა უცხოელი მონოპოლისტების გავლენა და აიძულებინა ისინი დაეცვათ რესპუბლიკის კანონები.

ახალი მთავრობის ღონისძიებებმა დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ამერიკის შეერთებული შტატების მმართველ წრეებში. 1950 წლიდან უოლ-სტრიტის ბიზნესმენები აშკარად ერევიან გვატემალის საშინაო საქმეებში. ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს კონტაქტი ჰქონდა გვატემალის რეაქციულ წრეებთან და აქტიურ მონაწილეობას იღებდა არჩევნებში. საქმე იქამდე მივიდა, რომ მან მოითხოვა ამერიკის ჯარების შეყვანა გვატემალაში. ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის თავხედურ მოქმედებას გვატემალის მშრომელებმა საპროტესტო გამოსვლებითა და მასობრივი დემონსტრაციებით უპასუხეს, რის გამო ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა იძულებული გახდა დროებით გაეწვია უკან თავისი ელჩი.

1950 წლის ნოემბერში ხალხის ფართო მასებმა ხმა არ მისცეს ამერიკელი მონოპოლისტების მიერ წამოყენებულ რეაქციონერი გენერლის ფუენტესის კანდიდატურას. პრეზიდენტად არჩეულ იქნა „რევოლუციური მოქმედების პარტიის“ ლიდერი ხაკობო არბენსი.

არბენსის მთავრობამ გვატემალაში განახორციელა აგრარული რეფორმა, მიწა გლეხობას გადაეცა, ხოლო მემამულეებს, რომლებსაც ეს მიწები ჩამოერთვათ, აუნაზღაურეს მიწის ფასი. ამასთანავე კონფისკებულია ამერიკული „იუნაიტედ ფრუტ კომპანის“ მიწების ნაწილი. გვატემალის მთავრობის საქმიანობა ხორციელდება ბურჟუაზიული რესპუბლიკის ჩარჩოებში და მიმართულია ქვეყნის ეკონომიური ჩამორჩენილობის ლიკვიდაციისაკენ, მისი ეროვნული დამოუკიდებლობის შენარჩუნებისაკენ, უცხოელი მონოპოლისტების გავლენის წინააღმდეგ.

ამ მიზანს ემსახურება რესპუბლიკის კონგრესის მიერ ამას წინათ მიღებული გადაწყვეტილება, რომ ამერიკული დახმარებისათვის მიუმართავად, საკუთარი საშუალებებით აგოს ეროვნული ნავსადგური სანტო-ტომასში და ამით აღმოფხვრას „იუნაიტედ ფრუტ კომპანის“ მიერ ნავსადგურების გამოყენების შესაძლებლობა, ააშენოს ჰიდროელექტროსადგური ხურუნში (ესკუინტლას დეპარტამენტი) და თავი დააღწიოს ამერიკული კომპანია „ემპრესა ელექტრიკის“ კლანჭებს, გაიყვანოს ათასი კილომეტრი გზატკეცილი და სხვ. კონგრესმა, გარდა ამისა, მიიღო კანონი აგრარული რეფორმის (რომელიც წარმატებით ხორციელდება) და ეროვნული აგრარული ბანკის შექმნის შესახებ, რათა გლეხობას სესხის მიღების საშუალება მიეცეს.

გვატემალის მთავრობის ამ ღონისძიებებმა დიდი უკმაყოფილება გამოიწვია უოლ-სტრიტის მაგნატებში. მათ ეს ღონისძიებები „კომუნისტურ საშიშროებად“ მონათლეს. ამოქმედდა ყველა საიდუმლო ზამბარა, გამოცოცხლდა რეაქციული ელემენტების საქმიანობა.

მიმდინარე წლის 12 მარტს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ყოფილი მოადგილე ლათინური ამერიკის საქმეთა დარგში სპრუილე ბრედენი თავის სიტყვაში ამერიკელებს მოუწოდებდა დაემხოთ გვატემალის მთავრობა. ეს გასაგებიც არის. ბრედენს თვალსაჩინო პოსტი უკავია „იუნაიტედ ფრუტ კომპანიში“.

ამერიკის მითითებით გვატემალის წინააღმდეგ ილაშქრებენ ცენტრალური ამერიკის ქვეყნების მოფამფალტო მარიონეტული მთავრობები, რომლებიც შედიან ე. წ. „ცენტრალური ამერიკის ქვეყნების ორგანიზაციაში“.*) თებერვალში ქ. ტეგუსიგალპაში (ჰონდურასის დედაქალაქი) შეიქმნა სამხედრო კავშირი გვატემალის წინააღმდეგ იმ საბაბით, რომ გვატემალა თითქოს წარმოადგენს „საბჭოთა კომუნიზმის ავანპოსტს ამერიკის კონტინენტზე“ და ქმნის „საშიშროებას დასავლეთი ნახევარსფეროს ქვეყნებისათვის“.

მარტის ბოლოს აღმოჩენილ იქნა მთავრობის საწინააღმდეგო შეთქმულება. პრეზიდენტ არბენსის ცნობით, შეთქმულებმა მიმართეს ერთი „ძლიერი ქვეყნის“ მეთაურს თხოვნით — მოეწყო ინტერვენცია გვატემალაში. 29 მარტს ორასმა ცნობილმა რეაქციონერმა მოაწყო პუტჩი. მათ დაიკავეს ოფიციალური დაწესებულებები, აეროდრომები და აღმართეს ნიშნები უცხოეთის ჯარებისათვის, რომლებიც მეზობელი ქვეყნებიდან თვითმფრინავებით უნდა გადმოეყვანათ. პუტჩის მონაწილენი შეიარაღებული იყვნენ უცხოეთის იარაღით. მათ შორის იყვნენ „იუნაიტედ ფრუტ კომპანის“ ადვოკატი ხუან სერნა და ამავე კომპანიის პოლიტიკური აგენტი კარლოს სიმონსი. დაპატიმრებისას ზოგიერთმა ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ სალვადორის, ნიკარაგუას, ჰონდურასისა და დომინგოს რესპუბლიკას მთავრობები ფულითა და იარაღით უწევდნენ დახმარებას პუტჩის მონაწილეებს, რათა დაემხოთ არბენსის მთავრობა.

არმიისა და მოსახლეობის ძალებით შეთქმულება ლიკვიდირებულ იქნა და რადგან ცხადი გახდა გვატემალის საშინაო საქმეებში უცხოელთა ჩარევის ფაქტი, გვატემალას მთავრობამ ოფიციალურად განაცხადა, რომ გვატემალა გამოდის „ცენტრალური ამერიკის ქვეყნების ორგანიზაციიდან“. ამასთან გვატემალის მთავრობამ საჩივარი შეიტანა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. ამ საჩივარში, მართალია, უშუალოდ დასახელებული არ არის რომელიმე „ძლიერი სახელმწიფო“, მაგრამ ძნელი არ არის იმის მიხვედრა, თუ ვინ აწყობს შეთქმულებას გვატემალის წინააღმდეგ.

* * *

გვატემალის ხალხი ერთსულოვნად იწონებს მთავრობის პოლიტიკას და მზად არის საკადრისი პასუხი გასცეს ყოველ ცდას, რომელიც მიმართული იქნება გვატემალის დამონებისაკენ.

ესკუინტლას დეპარტამენტში შექმნილია ანტიფეოდალური და ანტიიმპერიალისტური დემოკრატიული ფრონტი, რომლის ხელმძღვანელობაში შედის სამ-სამი წარმომადგენელი რევოლუციური მოქმედების პარტიიდან, გვატემალის შრომის პარტიიდან და თითო წარმომადგენელი — პროფკავშირებიდან, გლეხთა კავშირიდან და ახალგაზრდობის დემოკრატიული კავშირიდან. ამ ფრონტის მიერ მოწყობილ კრებაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება — იბრძოლონ რეაქციის საქმიანობის წინააღმდეგ და დაიცვან კონსტიტუცია, დემოკრატიული თავისუფლება და აგრარული რეფორმა. შექმნილია რევოლუციური თავდაცვის კომიტეტები, რომლებიც მოქმედებენ ანტიფეოდალური და ანტიიმპერიალისტური დემოკრატიული ფრონტისა და დეპარტამენტების გუბერნატორთა ხელმძღვანელობით.

ხალხის ბრძოლას ფეოდალურ-იმპერიალისტური რეაქციის წინააღმდეგ ხელმძღვანელობს გვატემალის შრომის პარტია. იგი ამხილებს იმპერიალისტური ქვეყნების ხრიკებს, უჩვენებს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს დემოკრატიული ძალების ერთიანობას, დახმარებას უწევს გლეხობას აგრარული რეფორმის განხორციელებაში და ხელს უწყობს მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის განმტკიცებას.

თავის ბრძოლაში გვატემალის ხალხი მარტო არ არის. მისი ბრძოლა მთელი მსოფლიოს ხალხების უდიდეს თანაგრძნობასა და მხარდაჭერას იწვევს.

დოცენტი ბ. ზარდალიშვილი.

---

*) ცენტრალური ამერიკის სახელმწიფოებია გვატემალა, ჰონდურასი, კოსტა-რიკა, ნიკარაგუა, პანამა, სალვადორი, ჰაიტი, დომინგოს რესპუბლიკა, კუბა. აღნიშნული სახელმწიფოები მექსიკასა და სამხრეთ ამერიკის ქვეყნებთან ერთად „ლათინური ამერიკის“ სახელწოდებით არიან ცნობილი.

*) „ცენტრალური ამერიკის ქვეყნების ორგანიზაციაში“ შედიან: გვატემალა, ჰონდურასი, სალვადორი, ნიკარაგუა, კოსტა-რიკა და პანამა.

## კორეის ამბები

### სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 26 მაისი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ დღეს გამოაქვეყნა ცნობა, რომ განვლილ დღეს ყველა ფრონტზე მიმდინარეობდა უმნიშვნელო ბრძოლები.

დღეს სახალხო ჯარების საზენიტო ნაწილებმა ჩამოაგდეს მოწინააღმდეგის ორი და დააზიანეს ერთი თვითმფრინავი.

## იაპონიის საზოგადოებრიობა მოითხოვს მშვიდობიანი, დამოუკიდებელი ეკონომიკის განვითარებას

შანხაი, 26 მაისი. (საკდესი). ტოკიოს რადიომ გუშინ გამოაქვეყნა იაპონიის პრესის მიმოხილვა იოსიდას ახლანდელი კაბინეტის პოლიტიკის შესახებ. მეტი წილი გაზეთები აღნიშნავენ, რომ იაპონიის ახალი მთავრობა წააწყდება სერიოზულ სიძნელეებს, რომლებსაც შეიძლება მოჰყვეს მისი მალე გადადგომა ან პარლამენტის დათხოვნა. „ჩამოყალიბების პირველი დღიდანვე, — წერს გაზეთი „სანგიო კეიძაი", — იოსიდას მეხუთე კაბინეტს ძნელი გზა მოელის". გაზეთის აზრით მთავრობის წინაშე მდგომი ერთ-ერთი ძირითადი პრობლემაა იაპონიის ახლანდელ ეკონომიურ სიძნელეთა გადაჭრა. „შეხვდება თუ არა ახალი კაბინეტი პარლამენტის მღელვარე სესიას, — აცხადებს გაზეთი, — ეს იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რამდენად მიაღწევს იგი, რომ მასთან ითანამშრომლონ ოპოზიციურმა პარტიებმა ეკონომიური პოლიტიკის განხორციელებაში".

ფრიად დამახასიათებელია გაზეთ „სანგიო კეიძაიში" მოთავსებული კომენტარები იაპონიის ეკონომიური მდგომარეობის გამო. ეს გაზეთი მეწარმეთა წრეების რუპორად ითვლება. ეს კომენტარები ასახავენ იაპონელი ვაჭრებისა და მრეწველების მზარდ უკმაყოფილებას მთავრობის ახლანდელი ეკონომიური პოლიტიკის გამო, რომელსაც გეზი აღებული აქვს უმთავრესად ამერიკის სამხედრო დაკვეთების შესრულებაზე და სულ უფრო მეტად უქვემდებარებს იაპონიის ეკონომიკას უცხოეთის კაპიტალს. ახალმა კაბინეტმა,—წერს „სანგიო კეიძაი", — უწინარეს ყოვლისა უნდა უზრუნველყოს საგარეო ვაჭრობის განვითარება, სურსათის წარმოებისა და მრეწველობის ისეთი დარგების წარმოების გადიდება, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს ხალხის ცხოვრების დონის სტაბილიზაციისათვის. ასეთი პოლიტიკა უნდა იყოს იაპონიის დამოუკიდებელი ეკონომიკის რეალიზაციის მთავარი ბაზისი".

ასეთივე მოთხოვნები წამოაყენა აგრეთვე მეორე ბურჟუაზიულმა გაზეთმა „იომიურიმ", რომელმაც მთავრობას მოუწოდა განახორციელოს „მშვიდობისა და დამოუკიდებლობის პრინციპებზე" დამყარებული ეკონომიური პოლიტიკა.

## საგაფიცვო მოძრაობა იაპონიაში

შანხაი, 26 მაისი. (საკდესი). იაპონიის სააგენტო კიოდო ცუსინი გადმოგვცემს, რომ დღეს ქაღალდის კომპანიის „ოძი სეისის" 4 ათასამდე [illegible]

ბით იმდენმავე მუშამ — 72 საათის გაფიცვა. გაფიცულნი მოითხოვენ ხელფასის გადიდებას.

გაფიცვების შედეგად გაზეთები იძულებული არიან შეამცირონ თავიანთი ფურცლების რაო- [illegible]

## დაიხურა ექიმთა საერთაშორისო კონგრესი ვენაში

ვენა, 26 მაისი. (საკდესი). [illegible]

## მთავრობის კრიზისი საფრანგეთში

პარიზი, 26 მაისი. (საკდესი). [illegible]

## რევანშისტული გამოსვლები დასავლეთ გერმანიაში

ბერლინი, 26 მაისი. (საკდესი). [illegible]

## ვიეტნამი იბრძვის

[illegible]



[illegible] სააგენტოს ფოტო.

## ამერიკის პრესა „საერთაშორისო სავაჭრო პალატის" ვენის კონგრესის შესახებ

ნიუ-იორკი, 25 მაისი. (საკდესი). ეხება რა „საერთაშორისო სავაჭრო პალატის" მე-14 კონგრესს, რომელიც ვენაში გაიმართა, ამერიკის პრესა საქმიანი და პოლიტიკური წრეების გარკვეული ნაწილის შეშფოთებას გამოთქვამს იმის გამო, რომ კონგრესმა ვერ შეასუსტა ევროპის ქვეყნების მზარდი მისწრაფება — ივაჭრონ სოციალისტური ბანაკის ქვეყნებთან.

ხსნიდა რა მიზეზებს, რომლებიც დასავლეთ ევროპის ქვეყნებს აიძულებს დაადგნენ სოციალისტური ბანაკის ქვეყნებთან ვაჭრობის გაფართოების გზას, ჟურნალ „ექსპორტ ტრეიდ ენდ შიპერის" მიმომხილველი დევიდ სკოტი ლონდონიდან იუწყებოდა: „დასავლეთ ევროპას დიდი სურვილი აქვს განავითაროს ვაჭრობა კომუნისტებთან თუნდაც მხოლოდ იმისათვის, რომ შეინარჩუნოს თავისი ეკონომიკა და ვაჭრობის გაფართოების მოთხოვნა შეიძლება დაუძლეველი გახდეს..."

კორეაში ომის დამთავრების პერსპექტივა და რუსეთის სამშვიდობო წინადადებები, აღნიშნავდა გაზეთ „უოლ-სტრიტ ჯორნელის" ლონდონელი კორესპონდენტი, „ევროპელ მეწარმეებს აღუძრავს სულ უფრო მეტ მისწრაფებას — განაახლონ ვაჭრობა აღმოსავლეთთან. მათი აზრით, ექსპორტის დარგში კონკურენციის გამწვავებასთან დაკავშირებით მათ შეუძლიათ თავიანთი საქონლისათვის გამოიყენონ ახალი ბაზრები".

მეორე დიდმნიშვნელოვან მიზეზად, რომელიც ევროპელებს აიძულებს ესწრაფოდნენ „აღმოსავლეთთან ვაჭრობის" გაფართოებას, გაზეთები ასახელებენ ევროპაში უმუშევრობის ზრდას. დოროთი ტომპსონი ვაშინგტონის გაზეთ „სტარში" 22 მაისს წერდა: „ევროპაში უმუშევრობა იზრდება. ჰოლანდიაში მუშების მესამედი სრულიად ან ნაწილობრივ უმუშევარია. დამმუშავებელი მრეწველობის საწარმოები სამუშაოდან ითხოვენ მუშებს. მუშების კითხვებზე უპასუხებენ ფრაზით: „ბაზრები არ არის". „ამჟამად, — წერს გაზეთი „კრისჩენ საიენს მონიტორი", — ევროპისათვის მთავარი ეკონომიური ფაქტორია ის, რომ ევროპის სამრეწველო წარმოება აღარ ფართოვდება... უძრაობის საფრთხე რეალურია".

როგორც პრესის ცნობებიდან ჩანს, „საერთაშორისო სავაჭრო პალატის" კონგრესზე ამერიკის დელეგაციის ერთ-ერთი ამოცანა ის იყო, რომ გაეფანტა დასავლეთ ევროპის ქვეყნების ეჭვი ამერიკის შეერთებულ შტატებთან მათი ვაჭრობის გაფართოების შესაძლებლობის შესახებ და ჩაეკლა სოციალისტური ბანაკის ქვეყნებთან ამ ქვეყნებს ვაჭრობის გაფართოების ტენდენცია. როგორც გაზეთი „ნიუ-იორკ პოსტი" წერდა, „დიდი კამათი ვაშინგტონში ამერიკის სატარიფო პოლიტიკის შესახებ და ჩვენი მეგობრების მზარდი შიში იმის გამო, რომ ჩვენ საათის ისარს უკან, „პროტექციონიზმისაკენ" ვწევთ, განსაკუთრებით საჭიროდ ხდის იმას, რომ ჩვენი მრეწველნი წავიდნენ საზღვარგარეთ და თავიანთი მოქმედებით ხელი შეუწყონ ამ შიშის გაფანტვას".

იუწყებოდა რა კონგრესის მონაწილე დასავლეთევროპელ მეწარმეთა განწყობილების შესახებ, გაზეთ „ნიუ-იორკ პოსტის" საფინანსო მიმომხილველი პორტერი ამ დღეებში ვენიდან იწერებოდა, რომ ვაჭრობა დასავლეთის ქვეყნებსა და დემოკრატიული ბანაკის ქვეყნებს შორის „მნიშვნელოვნად გადასინჯულ იქნება იმისდამიუხედავად, თუ რას ამბობს სახელმწიფო დეპარტამენტი, ან იმისდამიუხედავად, თუ რა ხმამაღლა გოდებს სენატორი მაკკარტი". პორტერი იუწყებოდა ათეული წინასწარი საუბრის შესახებ, რომლებიც მას ჰქონდა დასავლეთ ევროპის წამყვან მრეწველებთან ვენაში საერთაშორისო სავაჭრო პალატის კონგრესის გახსნის წინ. „ისინი ამბობდნენ, — წერს პორტერი, — რომ სულელური გულუბრყვილობა იქნებოდა მიგვეჩნია, რომ დასავლეთ ევროპას შეუძლია განუსაზღვრელ დროს იარსებოს ისე, რომ არ ივაჭროს აღმოსავლეთთან".

ახასიათებს რა ევროპელ მეწარმეთა სკეპტიკურ დამოკიდებულებას ეგრეთწოდებული აკრძალული „სტრატეგიული მასალების" სიებთან, პორტერს მოჰყავს საერთაშორისო სავაჭრო პალატის პრეზიდენტის ჰაიდენსტამის შემდეგი სიტყვები: „ქალის სასცვლებიც კი შეტანილია ჩვენს აკრძალვის სიაში".

გაზეთების მიერ ვენის კონგრესის შედეგების შესახებ გამოქვეყნებული კომენტარები მოწმობს, რომ ამ კონგრესმა ვერ გაამართლა შეერთებული შტატების იმედები. „საერთაშორისო სავაჭრო პალატის 23 მაისს დამთავრებული კონგრესის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო შედეგი, წერს გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის" კორესპონდენტი ჰოფმანი, არის ის, რომ დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის ვაჭრობის გაფართოების უახლოესი პერსპექტივები გაცილებით უფრო კარგია, ვიდრე თვით არაკომუნისტურ ქვეყნებს შორის ვაჭრობის განვითარების უახლოესი პერსპექტივები... ეს საკითხი არც კი დასმულა დღის წესრიგში. მაგრამ ბევრი მეწარმე, განსაკუთრებით დასავლეთევროპელი მეწარმეები კონგრესის დარბაზის გარეშე საუბრებისა და დისკუსიების შედეგად ვენიდან წავიდნენ სწორედ ასეთი შთაბეჭდილებით...

ევროპელი მეწარმეები დასავლეთ ევროპის მთავრობებს აიძულებენ ყოველი შესაძლებლობა გამოიყენონ აღმოსავლეთის წარმომადგენლებთან სავაჭრო მოლაპარაკებისათვის".

„დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის ვაჭრობის საკითხი, — აღნიშნავს გაზეთი „ნიუ-იორკ პოსტი", — არც კი ყოფილა შეტანილი ოფიციალურ დღის წესრიგში; და საერთაშორისო სავაჭრო პალატის ხელმძღვანელებს არც კი გაუთვალისწინებიათ ოფიციალური გამოსვლები ამ საკითხზე. მაგრამ დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის ვაჭრობის საკითხი ამ „კონგრესის" საგანი იყო".

აღნიშნავს რა იმ ფაქტს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მეწარმეთა დელეგაციამ „ყველაფერი გააკეთა, რაც კი შეეძლო", რათა გაეფანტა დასავლეთ ევროპის შიში შეერთებულ შტატებში შესაძლო ეკონომიურ დეპრესიასთან დაკავშირებით, რომელმაც შეიძლება „კიდევ უფრო მეტი ზზარი" შექმნას „ევროპის ეკონომიკაში", გაზეთ „უოლ-სტრიტ ჯორნელის" კორესპონდენტი აცხადებს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციამ ვერ შეძლო სავსებით შეესრულებინა ეს ამოცანა.

## ახალი დაპატიმრებანი საბერძნეთში

ათენი, 26 მაისი. (საკდესი). გაზეთი „ავგი" იუწყება, რომ სალონიკში და საბერძნეთის სხვა ქალაქებში ასფალიამ (საბერძნეთის საიდუმლო პოლიცია. — რედ.) დააპატიმრა გადამდგარი გენერალი და ეროვნული წინააღმდეგობის გმირი მუსტერაკისი, გადამდგარი მაიორი საკეტასი, ერთიანი დემოკრატიული მემარცხენე პარტიის წევრი გალიფასი.

მუსტერაკისს განზრახული ჰქონდა გაეგზავნა პრემიერ პაპაგოსისათვის საპროტესტო დეპეშა, მაგრამ ტელეგრაფმა არ მიიღო იგი. დეპეშაში ნათქვამია: მე დამაპატიმრეს და კვლავ მასახლებენ კუნძულ აგიოს-ევსტრატიოსზე. მე ვიცი, რომ ვერავინ დამდებს ბრალად რაიმე უკანონო მოქმედებას. პროტესტს ვაცხადებ დაპატიმრების წინააღმდეგ და გთხოვთ შეამოწმოთ, ეთანხმება თუ არა ასფალიის მოქმედება თქვენს განცხადებებს დემოკრატიულ თავისუფლებათა შესახებ.

ერთიანი დემოკრატიული მემარცხენე პარტიის ორგანიზაცია ჩრდილოეთ საბერძნეთში პროტესტს აცხადებს ახალ დაპატიმრებათა წინააღმდეგ, რასაც საბერძნეთის საიდუმლო პოლიცია ახდენს.

## სპორტის ამბები

### ევროპის VIII პირველობა კალათბურთში

მოსკოვი. („კომუნისტის" სპეც. კორ.). დღითიდღე საინტერესო ხდება უძლიერესთა ასპარეზობა კალათბურთში ევროპის პირველობაზე. შეხვედრათა უმრავლესობა ხასიათდება მაღალი სპორტული დონით. დედაქალაქის „დინამოს" ცენტრალური სტადიონი მუდამ სავსეა მაყურებლებით.

26 მაისს გაიმართა მორიგი შეხვედრები. ისრაელისა და იუგოსლავიის კალათბურთელ ვაჟთა ნაკრები კოლექტივების დაძაბული შეჯიბრება დამთავრდა იუგოსლაველთა გამარჯვებით ანგარიშით 57:55.

მოედანზე გამოდიან საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის კალათბურთელთა ნაკრები გუნდები. მაყურებლები ერთსულოვანი ტაშით აჯილდოებენ მათ. საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდის შემადგენლობაში არიან ქორქია (კაპიტანი), კონეევი, სილინში, კულამი და ბუტაუტასი.

პირველი ბურთი უნგრელთა კალათში ჩააგდო სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ქორქიამ. ანგარიში თანდათანობით იზრდება. ჩვენი ქვეყნის კალათბურთელებს თამაში მიჰყავთ ანგარიშით 8:0, 16:2, 19:4. შეჯიბრების პირველი ნახევარი დამთავრდა საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდის უპირატესობით 32:16.

მეორე ტაიმში ჩვენმა კალათბურთელებმა ტემპი შეანელეს, რამაც გავლენა იქონია ანგარიშზე. შეჯიბრება დამთავრდა საბჭოთა სპორტსმენების მორიგი გამარჯვებით 64:54.

ამრიგად, საბჭოთა კავშირის კალათბურთელთა ნაკრებმა გუნდმა თავის ქვეჯგუფში სამი წინასწარი შეხვედრიდან სამივე მოიგო.

საინტერესოდ მიმდინარეობდა აგრეთვე დანარჩენი შეხვედრები. რუმინეთის გუნდმა მოიგო შვეიცარიის კალათბურთელთა კოლექტივთან ანგარიშით 74:36. ჩეხოსლოვაკიამ — იტალიას 59:43, ეგვიპტემ — გერმანიას 74:41, ბელგიამ — დანიას 56:35, საფრანგეთმა — შვეციას 65:33.

26 მაისისათვის წინასწარი შეხვედრები ძირითადად დამთავრებული იყო. ევროპის პირველობის გათამაშების ფინალში გავიდნენ: ჩეხოსლოვაკიის, იტალიის, ეგვიპტის, საფრანგეთის, საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის ნაკრები გუნდები.

ფინალში მონაწილე დანარჩენი ორი გუნდის გამოსავლინებლად, რომლის კანდიდატები არიან ბულგარეთის, იუგოსლავიისა და ისრაელის კალათბურთელთა კოლექტივები, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ბულგარეთისა და იუგოსლავიის გუნდების შეხვედრას.

შეჯიბრება გრძელდება.

ნ. ბუხუშვილი.

### სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

გუშინ მოსკოვის „დინამოს" სტადიონზე საკავშირო პირველობაზე ერთმანეთს შეხვდნენ დედაქალაქისა და ვილნიუსის „სპარტაკის" გუნდები. შეჯიბრების პირველი ნახევარი დამთავრდა მოსკოველთა სასარგებლოდ 3:0. მეორე ტაიმში დედაქალაქის სპარტაკელებმა დამატებით 4 ბურთი გაიტანეს მოწინააღმდეგის კარში და მოიგეს შეჯიბრება ანგარიშით 7:0.

დღეისათვის მოსკოვის „სპარტაკს" 7 თამაშიდან ბურთების შეფარდებით 14:4 შეგროვილი აქვს 10 ქულა და გათამაშების ცხრილში პირველი ადგილი უკავია.

გუშინ „ა" კლასის გუნდების შეხვედრა გაიმართა აგრეთვე ლენინგრადში. თამაშობდნენ მოსკოვის „დინამოსა" და ლენინგრადის „ზენიტის" გუნდები. გაიმარჯვეს ლენინგრადელებმა ანგარიშით 1:0. „ზენიტს" გათამაშების ცხრილში მესამე ადგილი უკავია.

### მოჭადრაკე ქალთა შეჯიბრება

ამიერკავკასიის რკინიგზის მხატვრული აღზრდისა და ტექნიკური პროპაგანდის სახლში გრძელდება უძლიერეს მოჭადრაკე ქალთა შეჯიბრება საქართველოს პირველობაზე.

მეშვიდე ტურში ქ. გოგიავამ ძლიერად ჩაატარა პარტია ფ. კაცის (ბათუმი) წინააღმდეგ და მორიგ გამარჯვებას მიაღწია. საინტერესოდ მიმდინარეობდა ე. კაკაბაძისა და ლ. ხაჭაპურიძის შეხვედრა. მოწინააღმდეგენი ყაიმზე შეთანხმდნენ.

ნ. ბერსკაიამ მოუგო მ. ლოლიშვილს, გ. ივანოვამ — ლ. მებაღიშვილს, ვ. ზარგარიანმა — ლ. წერომეს.

შვიდი ტურის შემდეგ წინ არის ე. კაკაბაძე, რომელსაც 5½ ქულა აქვს. ქ. გოგიავას ამდენივე შეხვედრიდან აქვს 5 ქულა და ერთი გადადებული პარტია.

## ზრუნვა მეშახტეთა ჯანმრთელობისათვის

მიმდინარე წელს ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის № 5 შახტის საშახტო კომიტეტმა მრავალ მოწინავე მუშას მისცა საგზური. ბევრმა მათგანმა უკვე დაისვენა და ისევ შეუდგა თავისი საპატიო პროფესიის შესრულებას, ბევრი ახლა ისვენებს.

შახტის მოწინავე მნგრეველ-მტვირთავთა ბრიგადირმა დ. გაგოშიძემ გაგრის ჩელიუსკინელთა სახელობის სანატორიუმში დაისვენა, საპატიო მეშახტე ა. დუდკო მკურნალობდა კისლოვოდსკის სანატორიუმში, შახტის დისპეტჩერი ნ. მალცევი — წყალტუბოში.

მეშახტე ქალი ტ. ანოსოვა ისვენებს აბასთუმანში, ელექტროზეინკალი ე. პიჟოვი — ესენტუკში, მღებავი ლ. შაპოვალოვი — გაგრის დასასვენებელ სახლში. („კომუნისტის" კორ.).

## ლექციების ციკლი მასწავლებლებისათვის

თელავი. („კომუნისტის" კორ.). საქართველოს დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფკავშირის თელავის მასწავლებლის სახლმა მოაწყო ლექციების ციკლი ი. ბ. სტალინის გენიალურ ნაშრომზე: „სოციალიზმის ეკონომიური პრობლემები სსრ კავშირში".

მასწავლებლებს გარდა ლექციებს ესწრებოდნენ სამედიცინო დარგის მუშაკებიც.

## სემინარი

კეცხოველის სახელობის ბიბლიოთეკაში 28 მაისს, საღამოს 8 საათზე, შედგება სემინარი ი. ბ. სტალინის ნაშრომის „სოციალიზმის ეკონომიური პრობლემები სსრ კავშირში" წრის პროპაგანდისტებისათვის. სემინარს უხელმძღვანელებს ამხ. ვ. მირიანაშვილი.

რედაქტორი დ. მჭედლიშვილი.


**ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია აცხადებს სტუდენტთა მიღებას 1953-54 სასწავლო წლისათვის შემდეგ ფაკულტეტებსა და სპეციალობებზე:**

1. თეორიულ-საკომპოზიტორო ფაკულტეტზე (საკომპოზიტორო, მუსიკის თეორიის, მუსიკის ისტორიის, ხალხური მუსიკალური შემოქმედებისა და საგუნდო სადირიჟორო განყოფილებებით), 2. საფორტეპიანო ფაკულტეტზე, 3. ვოკალურ ფაკულტეტზე, 4. საორკესტრო ფაკულტეტზე (სიმებიანი, სასულე და დასარტყმელი ინსტრუმენტების განყოფილებებით).

კონსერვატორიაში მიიღებიან სსრ კავშირის მოქალაქენი ორივე სქესისა 17 წლიდან 35 წლამდე, რომელთაც აქვთ სრული საშუალო განათლება, მუსიკალური მომზადება მუსიკალური ათწლედის ან მუსიკალური სასწავლებლის სრული კურსის მოცულობით და წარმატებით ჩააბარებენ შემომსვლელთათვის დადგენილ გამოცდებს.

კონსერვატორიაში შემსვლელებმა გამოცდები უნდა ჩააბარონ შემდეგ დისციპლინებში:

1. სპეციალობაში, 2. მუსიკის ელემენტარულ თეორიაში, 3. ჰარმონიაში (გარდა ჩასაბერი საკრავებისა და ვოკალური განყოფილებებისა), 4. სოლფეჯიოში, 5. მუსიკალურ ლიტერატურაში, 6. სსრ კავშირის ისტორიაში, 7. რუსულ ენასა და ლიტერატურაში, 8. ქართულ ენაში.

განცხადებები მიიღება 20 ივლისამდე. მისაღები გამოცდები 1 აგვისტოდან 20 აგვისტომდე.

განცხადება შემოტანილ უნდა იქნას კონსერვატორიის დირექტორის სახელზე შემდეგი საბუთების თანდართვით: ა) ავტობიოგრაფია, ბ) სრული საშუალო სკოლის ატესტატი (დედანი) ან მუსიკალური სასწავლებლის დიპლომი დანართით მუსიკალური და საერთო განათლების საგნების ჩაბარების შესახებ, გ) პასპორტი (უნდა წარმოადგინონ პირადად), დ) სამი ფოტოსურათი ზომით 3×4 სმ, ე) ცნობა სამხედრო ვალდებულებისადმი დამოკიდებულების შესახებ, ვ) ცნობა სახლმმართველისაგან.

ცნობების მიღება შეიძლება კონსერვატორიის სასწავლო ნაწილის სამდივნოში ყოველდღე. კონსერვატორიის მისამართი: თბილისი, გრიბოედოვის ქ. № 8, ტელეფონი № 3-86-44.

**თბილისის ტოპოგრაფიული ტექნიკუმი აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1953-54 სასწავლო წლისათვის.**

ტექნიკუმს აქვს ორი სექტორი — ქართული და რუსული ორი განყოფილებით:

1. ტოპოგრაფიული — ამზადებს ტექნიკოს ტოპოგრაფებს აეროფოტოტოპოგრაფიულ სამუშაოთა საწარმოებლად.

2. საგზაო სამშენებლო — ამზადებს საგზაო-სახიდო მშენებლობის ტექნიკოსებს (ქართული სექტორი).

პირველ კურსზე მიიღებიან მოქალაქენი 14-30 წლის ასაკისა, რომელთაც დამთავრებული ექნებათ არასრული საშუალო სკოლა.

**დაჩქარებულ კურსზე** (სწავლის ხანგრძლივობა 2 წელი და 9 თვე) მიიღებიან 11 კლასის კურსდამთავრებულნი. ფრიადოსნები მიიღებიან უგამოცდოდ, დანარჩენები აბარებენ გამოცდებს შემდეგ საგნებში:

1. სსრ კავშირის კონსტიტუციაში, 2. რუსულ ენაში, 3. მათემატიკაში და 4. მშობლიურ ენაში.

განცხადებები მიიღება 1 ივნისიდან 31 ივლისამდე. მისაღები გამოცდები 1 აგვისტოდან 20 აგვისტომდე, სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს.

მოსწავლენი უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო საცხოვრებლით და სტიპენდიით საერთო წესით.

განცხადება მიიღება დირექტორის სახელზე პირადად ან ფოსტით შემდეგი დანართით:

1. განათლების მოწმობა (დედანი), 2. დაბადების მოწმობა (დედანი), 3. ავტობიოგრაფია, 4. სამი ფოტოსურათი, 5. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ, 6. ცნობა სამხედრო ვალდებულების შესახებ, 7. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან.

ცნობები გაიცემა და განცხადებები მიიღება ყოველდღე 9 საათიდან 17 საათამდე, გარდა გამოსასვლელი დღეებისა.

მისამართი: თბილისი, უნივერსიტეტის ქ. № 27, ტელეფონი 3-20-88.

**სსრ კავშირის ელექტროსადგურებისა და ელექტრომრეწველობის სამინისტროს თბილისის რადიოტექნიკური ტექნიკუმი 1953-54 სასწავლო წლისათვის აცხადებს მოსწავლეთა მიღებას ქართული და რუსული სექტორების I და III კურსზე.**

ტექნიკუმში მიიღებიან სსრ კავშირის ორივე სქესის მოქალაქენი 14-დან 30 წლამდე ასაკისა. ტექნიკუმი ამზადებს რადიოტექნიკოსებს რადიოაპარატურის წარმოების სპეციალობით. სწავლების ვადა 4 წელი. I კურსზე ჩაირიცხებიან არასრულ საშუალო სკოლადამთავრებულნი, რომლებიც მისაღებ გამოცდებს ჩააბარებენ შემდეგ საგნებში: 1. სსრ კავშირის კონსტიტუციაში (ზეპირი), 2. რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა და ზეპირი), 3. მათემატიკაში (წერა და ზეპირი).

ის პირები, რომლებსაც არასრული საშუალო სკოლა ფრიადზე აქვთ დამთავრებული, I კურსზე უგამოცდოდ ჩაირიცხებიან. III კურსზე უგამოცდოდ ჩაირიცხებიან 1951, 1952, 1953 წლებში საშუალო სკოლადამთავრებულნი, ხოლო 1951 წლამდე საშუალო სკოლადამთავრებულნი მისაღებ გამოცდებს აბარებენ შემდეგ საგნებში: 1. სსრ კავშირის ისტორიაში (ზეპირი), 2. რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა და ზეპირი), 3. მათემატიკაში (წერა და ზეპირი).

ქართულ სექტორზე შემსვლელნი, გარდა ჩამოთვლილი საგნებისა, გამოცდებს აბარებენ აგრეთვე ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა და ზეპირი).

ტექნიკუმში ჩარიცხული მოსწავლეები იღებენ სტიპენდიას I კურსზე 285 მან., II კურსზე — 315 მან., III კურსზე — 360 მან., IV კურსზე — 390 მან.

სწავლის ფრიადოსნები სტიპენდიას 25 პროცენტით მეტს იღებენ. ტექნიკუმში შემსვლელებმა უნდა შემოიტანონ განცხადება დირექტორის სახელზე შემდეგი საბუთების დართვით: 1. განათლების მოწმობა (დედანი), 2. დაბადების მოწმობა (დედანი), 3. ავტობიოგრაფია, 4. ფოტოსურათი 3 ცალი (ზომით 3×4 სანტ.), 5. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ, 6. ცნობა სამხედრო სამსახურთან დამოკიდებულების შესახებ, 7. ცნობა საცხოვრებელი ადგილის შესახებ.

განცხადებები მიიღება 1 ივნისიდან 1 აგვისტომდე ტექნიკუმის კანცელარიაში (ორჯონიკიძის ქ. № 49, ტელეფონი № 3-83-42).

მისაღები გამოცდები 1 აგვისტოდან 20 აგვისტომდე. მეცადინეობა დაიწყება 1 სექტემბერს. დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ტექნიკუმში ყოველდღე, გარდა კვირადღეებისა, საღამოს 6 საათამდე.

**ოპერისა და ბალეტის თეატრი**

| | |
|---|---|
| 28 მაისს | 1. ლეონკავალო — **ჯამბაზები** 2. **საკონცერტო განყოფილება** |
| 29 მაისს | ჯ. ვერდი — **ტრავიატა** (ე შუმსკაიას მონაწილეობით). |

დასაწყისი საღამოს 8 ს. და 30 წ.

სამტრესტის ყვარლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის თანამშრომლები იუწყებიან ნათელა **კოროშინაძე-კობახიძის** გარდაცვალებას.

მ. მასხარაშვილი, კ. გვეტაძე, ა. თოფურია, შ. მესხიშვილი, ვ. ხუჯაძე, მ. გელოვანი, ა. ჰეპინაძე, მ. ალხაზაშვილი, ვ. ურატაძე, ე. ჩხიკვაძე, ა. საგინაშვილი, ვ. ფხალაძე, ი. რაზმაძე, ვ. ბარათაშვილი, შ. მაჭავარიანი, პ. ნემსაძე, ბ. ხომერიკი, რ. თალაკვაძე, ლ. ბარათაშვილი იუწყებიან **ნატალია არსენის ასულ მეხუზლას** გარდაცვალებას.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობისა და სტამბის მუშა-მოსამსახურეები იუწყებიან **ბარბალე სეხნიას ასულ მოსეშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 28-V ქ. ქუთაისში, გამოსვენება წულუკიძის ქ. № 18.

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს მუშაკთა კოლექტივი იუწყება **ვასასი ვასილის ასულ ჭოხონელიძის** გარდაცვალებას.

გ. ჟორდანია, შ. კვირკველია, ს. დოდელია, ვ. ჩიქოვანი, ბ. ჩაჩანიძე, შ. კოხოძე, მ. კაკაბაძე, კ. რუხაძე, ვ. ჭუბაბრია, ვ. დანელია, ბ. ლორთქიფანიძე, ს. ჩიქოვანი იუწყებიან **გიორგი ანდრიას-ძე ლომაიას** გარდაცვალებას. გამოსვენება 28-V, 6 ს. ძერჟინსკის ქ. № 25.

მეუღლე ნოდარ, მაზლი თამაზ, დედამთილი ელენე კობახიძეები იუწყებიან ექიმ **ნათელა ირაკლის ასულ კოროშინაძე-კობახიძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 28-V, 6 ს. კამალოვის ქ. № 10.

ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა პერსონალი და თანამშრომლები იუწყებიან **ეფროსინე გიორგაძის** გარდაცვალებას.


[illegible] ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეებისა — 3-63-03, 3-82-05. პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, ხამდივნოსი — 3-06-88. ტელეფონები განყოფილებებისა: [illegible] — 3-57-61, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 3-81-84, სოფლის მეურნეობის, კულტურისა და ყოფაცხოვრების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, ადგილობრივი ინფორმაციისა და უცხოეთის [illegible] მმართველობის — 3-06-88 წერილების — 3-73-24, განცხადებების — 3-51-81, გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობის დირექტორის — 3-65-41, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი".